

## ერიკ ასუ

ამერიკული მთები ანუ  
სახიფათო ვირაჟები

მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ მოწყობილი დიდი ნათელი სასტუმრო ოთახი.  
დგას დივანი, მაგიდა, რამდენიმე სკამი, დაბალი ჟურნალების მაგიდა  
ჟურნალებისათვის. წიგნის სტელაჟი და ოთახის მცენარეებით, თაროზე აწყვია  
მაგნიტოფონი, რამდენიმე ფოტო და ფერწერული ტილოები.  
სამი კარია. შემოსასვლელი კარით ხვდებით პირდაპირ სასტუმრო ოთახში, მეორე  
გადის მარჯვნივ სამზარეულოში, ხოლო მესამე მარცხნივ სხვა ოთახებში.  
კაცი : მომხიბვლელი, 50 წელს გადაცილებული სიმპათიური მამაკაცი ,  
ქალი :ახალგაზრდა ლამაზი 25 -30 წლის ქალიშვილი, საკმაოდ თავდაჯერებული  
საკუთარ მომხიბვლელობაში, სადა კაბა მომგებიანად უსვამს ხაზს მის მშვენიერ  
აღნაგობას.

*მოქმედება პირველი*

*სცენა ცარიელია. ისმის კარის საკეტის ჩხაკუნის ხმა. კარი იღება და სასტუმრო ოთახში შემოდის ქალი და მამაკაცი. კაცი ყველგან სინათლეს რთავს. ქალს ცალ ხელში პატარა ჩანთა უჭირავს, ხოლო მეორეში - სიგარეტის კოლოფი და სანთებელა.*

*კაცი თვითკმაყოფილია და ბინის ინტერიერის შთაბეჭდილების მოხდენის ეფექტით წინასწარ ტკბება.*

კაცი : ესეც ასე!

ქალი: გასაგებია.

კაცი : დიახ...

ქალი: დიახ...მიგხვდი...ჩვენ უკვე მოვედით.

კაცი: და ...

ქალი: და რა?

კაცი : რადა... და...რატომ დუმხართ?

ქალი: და რამე უნდა ვთქვა?

კაცი : არა...არა...განა გაიძულებთ...

ქალი: ეს ყოველივე რაღაც ...

კაცი : რა?

ქალი: არა...არაფერი...

კაცი : რას ნიშნავს „არაფერი“?

ქალი: არაფერი ნიშნავს არაფერს!...პრინციპში, არცთუ ურიგოა...

კაცი: „არცთუ ურიგოა?!“

ქალი: დიახ, სულაც არ არის ცუდი ...მე რაღაც ისე ვერ ვთქვი?...

კაცი: არა, ყველაფერი რიგზეა...თქვენ თქვით ცუდი არ არისო...და მეც მიგხვდით!

ქალი: ოჰ, მაპატიეთ!...მაპატიეთ, თუ შეიძლება!

კაცი: და რა უნდა გაპატიოთ?

ქალი: არა, უბრალოდ, მე უცებ ვერ მიგიხვდით...რაცნაირად შენელებული

რეაქცია მაქვს და... თქვენთან არაჩვეულებრივი

სილამაზეა...მართლა...ძალიან ლამაზია! უკან

მიმაქვს ჩემი სიტყვები...თუ ასე უფრო გაწყობთ ?!... გავამართლე თქვენი

მოლოდინები?

კაცი: რაც გინდათ, ის თქვით...

ქალი : მადლობა!

*კაცი ღიმილით გვერდზე გადის, რომ ქალს მეტი თავისუფლება ჰქონდეს, შეეგუოს ატმოსფეროს . ქალი ოთახს ათვალიერებს, სიგარეტს მაგიდაზე დებს და თაროზე ნივთებს ათვალიერებს... ერთ-ერთს იღებს ხელში და აკვირდება...კაცი ღელავს, რომ ხელიდან არ გაუვარდეს და არ დაიმსხვრეს, თუმცა ცდილობს დამალოს მღელვარება...*

კაცი: ეს იაპონურია ...ძალიან ნატიფი და დახვეწილი ნაკეთობაა...

ქალი: თავის ადგილას დავდებ.

კაცი: არა, შეგიძლიათ დაათვალიეროთ, შეეხოთ კიდევ...

ქალი: მადლობა...უკვე შევხეხე...

კაცი: ეს ტილო როგორ მოგწონთ?

ქალი: იცით, რაც შეეხება ხელოვნებასა და ფერწერას, ...მე...

კაცი: ესე იგი, არ მოგწონთ...

ქალი: არა...არა, ძალიანაც მომწონს...

კაცი: და ეს? რას იტყვით?

ქალი: რას ვიტყვი?

კაცი: დიახ...როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

ქალი: არანაირი.

კაცი: გასაგებია... დაბრძანდით.

ქალი: ... არ დავლლილვარ.

კაცი : დამჯდარი უკეთ შეაფასებთ.

ქალი: არა, ნამდვილად ასე უკეთ ვგრძნობ თავს.

კაცი: როგორც გენებოთ...დალევთ რამეს? ვნახოთ, რა არჩევანი გვაქვს...რას  
ინებებთ?

ქალი: მე მგონი, ჩვენ ისედაც ბევრი დავლიეთ.

კაცი: კი, მაგრამ ის იქ იყო და...

ქალი: დიახ...

*პაუზა. კაცი დაბნეულია.*

კაცი: ეს „დიახ“ როგორ გავიგო: დალევთ თუ არა?

ქალი: რატომაც არა. თუ ეს თქვენ სიამოვნებას მოგანიჭებთ... იქ ხომ დავლიეთ და  
აქაც დავლიოთ!

კაცი: თქვენ მხოლოდ მიბრძანეთ!...

ქალი: ჩემთვის სულერთია. რასაც თქვენ დალევთ...

*მცირე ყოყმანის შემდეგ ჭიქებში ვისკის ასხამს .*

ქალი: ხომ ვერ მეტყვით...

კაცი: ჰა-ჰაააა! როგორც იქნა, გადაწყვიტეთ, კითხვა დამისვათ...გისმენთ...

ქალი: ეს თქვენი საკუთარი ბინაა?

კაცი: არა. მაგრამ არა იმიტომ, რომ საშუალება არ მაქვს... უბრალოდ, ჩემი

პრინციპები მაქვს და რაიმეს ფლობა, ასე ვთქვათ, საკუთრება

მიჯაჭვულობასთან ასოცირდება... მე კი

მიყვარს, როცა თავისუფლად ვგრძნობ თავს...როცა არავიზე და არფერზე ვარ  
დამოკიდებული...იყო სრულიად დამოუკიდებელი და არაფერს ფლობდე  
ჩემთვის ნამდვილი თავისუფლება!...თანაც იმ დროს , როცა მილიონი შანსი  
გაქვს, იყო „მფლობელი“.

**ქალი:** „იყო სრულიად დამოუკიდებელი და არაფერს ფლობდე ჩემთვის ნამდვილი  
თავისუფლება!...თანაც იმ დროს , როცა მილიონი შანსი გაქვს იყო  
მფლობელი.“ ჩემი აზრით, ეს ცოტა სიმუნწეს ჰგავს...

*კაცი ნაწყენი უყურებს, ქალი იცინის.*

**ქალი :** ნუ მომაქცევთ ყურდალებას. უბრალოდ, კარგ ხასიათზე ვარ და ხომ მაქვს  
სიცილის უფლება?...

**კაცი:** ასეთ შემთხვევაში ეს აუცილებელიცაა...ინებეთ თქვენი ვისკი...

**ქალი:** მაგიდაზე დადგით. მოგვიანებით დავლევ. *(კაცი ჭიქას მაგიდაზე დგამს)* აქ  
დიდი ხანია ცხოვრობთ?

**კაცი:** საკმაოდ... თუმცა, გააჩნია, ამ „დიდი ხანია“-ში თქვენ რას გულისხმობთ...

**ქალი:** მე მეგონა, რომ თქვენ ბევრად უფრო ...*(ქესტით ცდილობს გამოხატოს  
სიტყვა „მყუდრო“)*

**კაცი:** (იმეორებს მის ქესტიკულაციას ) უფრო?

**ქალი:** უფრო *(ეძებს შესაფერის სიტყვას)* არა, არაფერი...აქ ...ცუდი არაა...

**კაცი:** გინდათ, მითხრათ, რომ ეს ატმოსფერო დიდად არ შემეფერება, არა?

**ქალი:** მაგრამ მე რომ თქვენ სრულებით არ გიცნობთ ...

**კაცი:** რასაკვირველია, არ მიცნობთ. მიზომეთ თქვენი ლაზადა...ასე უფრო  
მოხერხებულად იგრძნობთ თავს...

*ქალი იხდის ლაბადას და უწვდის კაცს. ეს უკანასკნელი შემოსასვლელში კიდებს საკიდელზე.*

**ქალი:** თქვენ რას მოღვაწეობთ, თუ რა თქმა უნდა...

**კაცი:** თამამი კითხვაა გინდოდათ გეთქვათ? სრულებითაც, არა. მე სიამოვნებით

გიპასუხებთ, კომერციული ფირმის დირექტორი გახლავართ... ჩემი ფირმა

აწარმოებს ფოტოაპარატების გამადიდებელ ლინზებს. არის ასეთი

აუცილებელი დეტალები, რომლის ბაზრის 15 %-ს მე ვქმნი, უფრო სწორედ,

ჩემი ფირმა. მე პასუხისმგებელი ვარ საფრანგეთის, ბელგიის და გერმანიის

შემოსავლებზე. მალე ალბათ იტალიაც შემოგვიერთდება. თუმცა ეს

ყოველივე ჯერჯერობით ფურცელზეა გაწერილი. სამუშაო საკმაოდ

საპასუხისმგებლოა და დიდ დამაბულობასა და ძალისხმევას მოითხოვს, ,

მუდამ ფხიზლად უნდა იყო, რომ, კონკურენტებმა, ასე ვთქვათ, არ

გადაგსანსლონ.

**ქალი:** ( გულგრილად) ხო, აბა რა!... ეს მნიშვნელოვანია.

**კაცი:** ახლავე აგიხსნით, ეს არცთუ რთული ამბავია. საერთაშორისო ბაზარზე სულ

სამნი ვართ, სამი კანდიდატი ეგრეთ წოდებული ნამცხვრის განაწილებაში.

მე, რა თქმა უნდა დიდი ნამცხვარს არ ვგულისხმობ, რადგან ყველას მაინც

ვერ გააძღობ... არსებობს მთავარი პრეტენდენტი, ასე ვთქვათ, გიგანტი,

შემდეგ მოსდევს ნაკლებად გავლენიანი ფირმა, რომელიც ოცნებობს

გიგანტის ადგილის დაკავებაზე და მერე მოვდევთ ჩვენ, ანუ „ჩვენ“ - ეს მე

გახლავართ!

**ქალი:** ესე იგი, თქვენთან ყველაფერი რიგზეა!...

კაცი: სწორედ ამის ახსნას ვცდილობ...

ქალი: და კმაყოფილი ხართ?!

კაცი: კმაყოფილი? და რით უნდა ვიყო კმაყოფილი?

ქალი: საკუთარი თავით...

კაცი: შესაძლოა, ამბიციურად ჟღერდეს, მაგრამ... კი, ასეა!... განა მაქვს რაიმე

მიზეზი უკმაყოფილებისათვის?

ქალი: თითქოს არანაირი.

კაცი: რასაკვირველია, დღეს ერთობ მოდურია საკუთარ სულში ქექვა (*საწყლად*)

„ მე სულ ვცდილობ, ლამის კანიდან ვპვრები, რომ რაღაც გამომივიდეს,

მაგრამ ამაოდ... ვერა დ ავერ მივალწიე მწვერვალს!“ და მისთანანი... მე,

პირადად, საკუთარი ძალების მჯერა და ყველაფერს, რაც ხელს მიშლის

თავდაჯერებაში, ვანადგურებ. ჰაიდა! მკაფიოდ და უკანმოუხედავად!

ქალი: „ჰაიდა?!“

კაცი: გაუგებრად გამოვხატე?

ქალი: სავსებით გასაგებად და ეს ძალიან მხიბლავს თქვენში - თქვენ ისე

მკაფიოდ მიხსნით ყველაფერს!...

კაცი: გადაჭარბებად არ ღირს!

ქალი: მაგრამ ეს სიმართლეა! ჭკუას ვკარგავ, როცა მარტივი, ადამიანური ენით

მესაუბრებიან. წარმოიდგინეთ, მგონია, რომ ასეთ დროს უფრო ჭკვიანიც კი

ვხდები. თქვენს გარემოცვაში ჩემი ინტელექტუალური დონე ერთიორად

მაღლდება ...

*კაცი მოწონებით იქნევს თავს.*

კაცი: თქვენს ტონში ირონია გამოსჭვივის, თუ მეჩვენება ?

ქალი: არც უმაგისობაა.

*ქალი ათვალისწინებს ფოტოებს და ბიჭის ფოტოსთან ჩერდება.*

ქალი: ვინაა ამ ფოტოზე ?

კაცი: ჩემი ვაჟია *(მიუთითებს სხვადასხვა კადრებზე)* 4 წლის ასაკში, აქ 8-ისაა და აქ 12-ის. ახლა ის უკვე 14 წლის შესრულდა, თუმცა შესაბამისი ფოტო ჯერ არ მაქვს.

ქალი: სიმპათიურია...

კაცი: რას ბრძანებთ?!

ქალი: მართლა. ძალიან სიმპათიური ბიჭია!

კაცი: აი მე კი გეუბნებით, რომ - არა! ის სიმპათიური კა არა, უბრალოდ, ულამაზესია!

ქალი: კი...მე სწორედ ამის თქმა მსურდა.

კაცი: მაგრამ... სიმპათიური და ლამაზი ერთიდაიგივე სულაც არ გახლავთ.

ქალი: მართალს ბრძანებთ, სიმპათიური და ლამაზი სხვადასხვა ცნებებია. ის მართლაც, ლამაზია და ეს ვინდაა?

კაცი: სად?

ქალი: მის გვერდით...ხვეული თმითა და ტუჩსაცხით...

*კაცი ნელა მიდის ფოტოსთან, თითქოს ვერ ხვდებოდეს, ვისზეა საუბარი.*

კაცი: აა, ეს დედამისია, რასაკვირველია...

ქალი: აი, თურმე!

კაცი: და რაშია საქმე?

ქალი: არა, არაფერში...

კაცი: უქალოდ ხომ ვერ გავაჩენდი? არ ვიცი, თქვენ რა იცით ამის თაობაზე, მაგრამ

ადამიანთა უმრავლესობა ამისათვის...*(უმწეოდ შლის ორივე ხელს)* აბა,

როგორ მოგწონთ ჩემი ბიჭუნა? როგორი გამომივიდა?

ქალი: შესანიშნავი!

კაცი: ეს სულაც არ არის მისი საუკეთესო ფოტო. არაჩვეულებრივი სახის ნაკვთები

აქვს. და ამასთანავე უჭკვიანესია! იცით რომელ ასაკში დაიწყო კითხვა? რა

თქმა უნდა, წარმოდგენაც არა გაქვთ. აბა, საიდან უნდა იცოდეთ? აბა

გამოიცანით, რამდენი წლის იყო, სხაპასხუპით რომ კითხულობდა?

ქალი: თქვენი ვაჟი.

კაცი: რასაკვირველია.

ქალი: არ ვიცი...ნ თვიდან? ...

კაცი: *(მიხვდა, რომ მეტი მოუვიდა ტრაბახი)* არა, თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი

ხართ. მე მიჭირს ვიყო ობიექტური საკუთარი შვილის მიმართ. ეს ძალზედ

პირადია... თუ თქვენ საკუთარი შვილები არ გყავთ, ამას ვერ გაიგებთ.

თქვენ გყავთ შვილები?

ქალი: არა.

კაცი: აი, ნახავთ, როგორც კი დედა გახდებით... ეს შესანიშნავია!

ქალი: სხვათაშორის...მიამბეთ დედამისის შესახებ...

კაცი: ვის შესახებ?

ქალი: დედამისის...

კაცი: და ის რა შუაშია? რაში გჭირდებათ ეს ყველაფერი?

ქალი: ისე...თქვენ ხომ თქვენი ვაჟის შესახებ მიამბეთ და შეგიძლიათ, მითხრათ,

რატომ?

კაცი: იმიტომ, რომ თქვენ მისი ფოტო დაინახეთ და თავად მკითხეთ მასზე.

ქალი: კი, ბატონო! გეთანხმებით... ახლა კი... მე ვუმზერ დედამისის ფოტოს და

გთხოვთ, რომ დედამისზეც მიამბოთ.

კაცი: კი, ბატონო! შემძლია გიამბოთ, რა პრობლემაა?

ქალი: ესე იგი...

კაცი: ის... ზოგადად... დეტალებს თუ არ ჩავუღრმავდებით, ის ...დედამისია. კიდევ

რისი მოსმენა გსურთ?

ქალი: (მიუთითებს ფოტოებზე) 32-ის, 36-ის, 38-ის და 40-ის?

კაცი (ნერვიული ჩალიმებით) დაახლოვებთ...

ქალი: ლამაზია. ჯიში გამოსჭვივის, ნამდვილი ქალია, ეტყობა, დიდხანს

არჩევდით...

კაცი: კი, ეს იმდენი ხნის წინ იყო ... რაღაცნაირად ვეღარც კი ვამჩნევდი ...

ქალი: და თქვენ გიყვართ იგი?

კაცი: როგორ?

ქალი: გიყვართ იგი?

კაცი: მიყვარს? რა უცნაური კითხვაა?

ქალი: რატომაა უცნაური?

კაცი: რა გითხრათ... იმდენი წელი გავიდა, რომ ...

ქალი: და რას აკეთებს?

კაცი: ვინ?

ქალი: თქვენ რა, განგებ იქცევით ასე?

კაცი: როგორ ასე?

ქალი: (გაღიზიანებით) ჩვენ დავასრულეთ საუბარი თქვენს ვაჟზე და ახლა თქვენს

ცოლზე ვსაუბრობთ...

კაცი: დიახ, ჯერ არ მჭირს მარაზმი...

ქალი: ჰოდა გეკითხებით, რას აკეთებს თქვენი ცოლი? მაგალითად, დილაობით, იღვიძებს, დგება, იცვამს და სად მიდის?

კაცი: დილით?

ქალი: დილით, შუადღისას- რა მნიშვნელობა აქვს? რა ვალდებულებები აქვს ზოგადად?

კაცი: ზოგადად...მას ბევრი დრო ეხარჯება დასვენებაში და სამსახურისთვის არ სცალია, ასე რომ, ალბათ, თავადაც ხვდებით, რომ ბევრი არაფრითაა დაკავებული...

ქალი: და თქვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ქალი საკუთარი თავის სარჩენ ფულს თვითონ გამოიმუშავებდეს?

კაცი: სრულებითაც არა. მე დაუყვედრებლად ვარჩენ ცოლ-შვილს... ყველა ისე იქცევა, როგორ მიაჩნია სწორად, არა?

*უხერხული პაუზა.*

კაცი: და რატომ დგახართ ფეხზე? დაბრძანდით, თუ წასვლას აპირებთ? მყუდროდ ვერ გრძნობთ თავს, ხო? დაბრძანდით, დაბრძანდით, რა!

ქალი: დიდიხანია გაცილდით?

კაცი: რა?

ქალი: (მკაფიოდ წარმოთქვამს თითოეულ სიტყვას) თქვენს ცოლზე ვამბობ...დიდი ხანია, რაც გაცილდით?

კაცი: „დიდი ხანი, რაც ცოლს დავშორდი“? როგორ აგისხნათ? რაღაც არ მახსოვს განქორწინება მეხსენებინოს?

ქალი: არ გითქვამთ?

კაცი: არა.

ქალი: ესე იგი...

კაცი: არავითარი „ესე იგი“! მე უწინდებურად ცოლიანი ვარ, როგორ იტყვიან,  
„ჯერაც გამოვდგები საქმეში!“

ქალი: გასაგებია.

კაცი: დიახაც!

*პაუზა. ქალი საყვედურით შესცქერის კაცს.*

კაცი: დუმხართ?... არ გაქვთ მეტი შეკითხვა?

ქალი: მე ვფიქრობ... უცნაური კაცი ხართ... გინდათ, სხვებს ჰგავდეთ, მაგრამ  
არაფრით გამოგდით ...

კაცი: შესაძლოა, ვერ ვამჩნევ ...მაგრამ, მგონია, რომ სავსებით ჩვეულებრივი,  
ნორმალური ადამიანი ვარ .

ქალი: მითხარით, მე ჭკვიანი ვარ?

კაცი: რასაკვირველია.

ქალი: ძალიან ჭკვიანი, თუ ისე რა...

კაცი: ძალიან!

ქალი: საინტერესოა, რას გრძნობთ ,როცა თქვენს წინაშე უნიჭო, სულები გოგო  
დგას? *(ჯდება და ფეხს ფეხზე გადაიდებს)*

კაცი: რა დაგემართათ? რაღც ერთობ გადასხვაფერდით...ნუთუ ჩემმა ცოლმა ასე  
იმოქმედა თქვენზე?

ქალი: ალბათ სწორად გაგიგეთ, როცა აქ მოსვლაზე დაგთანხმდით...

კაცი: სრულებითაც არა! ან რა უნდა გაგეგოთ, როცა არაფერი ამიხსნია. მე

უბრალოდ, შემოგთავაზეთ ჩემთან სტუმრობა. დიახ, დიდი სიამოვნებით!  
...შესანიშნავია! ჩვენ ჩავსხედით მანქანაში, მოვედით, ცოტაოდენი დავლიეთ  
და ახლა ვასაუბრობთ. არ მესმის, პრობლემა რაშია?

**ქალი:** ააა! ესე იგი თქვენ მხოლოდ დასაღევად მომიპატიჟეთ, არა? მხოლოდ ერთი  
ჭიქის დასაღევად...

**კაცი:** რასაკვირველია! თუმცა ...არა!

**ქალი:** მოკლედ, კი თუ არა?

**კაცი:** ნუ...არ ვიცი... ერთიც და მეორეც... რა საჭიროა მარჩიელობა... დაე,  
მოვლენები თავისთავად, ინერციით განვითარდნენ... ჩვენ რა ცუდად  
ვიქცევით? მშვიდად, უჩუმრად ... ვინ იცის, რას მოიტანს დრო?

**ქალი:** არა, ჩვენ ვიცით...ან ვხვდებით...ყოველ შემთხვევაში, მე შესანიშნავად  
მივხვდი ყველაფერს.

**კაცი:** მეც, მეც...ცულლუტობა რა საჭიროა... მაგრამ ყველაფერს მაინც შემთხვევა  
განაპირობებს. ჯერჯერობით ჩვენთან ყველაფერი რიგზეა, სრული  
სიმშვიდე!

**ქალი:** ( თავისთვის ჩაილაპარაკებს) კი-კი, ჯერჯერობით სრული სიმშვიდეა!

*კაცი მიუჯდება დივანზე, მიუჩოჩდება და თვალმოუშორებლად უმზერს.*

**კაცი:** თქვენი გამოხედვა ისეთი მიმზიდველია, თვალს ვერ მოწყვეტს კაცი.

უბრალოდ, მნელია წინააღმდეგობის გაწევა ...თქვენ იკითხავთ: და რატომ  
უნდა გავწიოთ წინააღმდეგობა? სასაცილოა, მაგრამ მეც სწორედ ამას  
ვეკითხები საკუთარ თავს... ეგებ ჩვენი შეხვედრა სულაც არ არის  
შემთხვევითი ? *(უფრო ახლოს მიუჯდება)*

**ქალი:** მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ცოლი გვითვალთვალეს.

კაცი: მართალია, და რა მერე? იქიდან მაინც ვერაფერს დაგვიშავებს...

ქალი: და მიუხედავად ამისა, ის ყველაფერს ხედავს ...

კაცი: თქვენ ეს უხერხულობას გიქმნით? კეთილი, თუ პრობლემა მხოლოდ ამაშია,

ა, ბატონო! (*შეაბრუნებს ცოლის ფოტოს კედლისაკენ.*) ესეც ასე! ბიჭიც ხომ არ მივაბრუნო?

ქალი: (*ბალისით*) არა, ის ხელს არ მიშლის.

კაცი: მგონი ვხვდები, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი ფერიცვალება ... ალბათ

სჯობდა, თავიდანვე ყველაფერი ისე მეამბნა, როგორც არის, არა? მაპატიეთ! მე ცოლიანი ვარ და ბავშვიც მყავს. და ამაში არაფერია უჩვეულო. ასეთი რამ ყველას ემართება. თვით ყველაზე საუკეთესო ადამიანებსაც კი. იმედი მაქვს, მთელი საღამო ამ ამბის გარჩევასა და მსჯელობას არ მოვანდომებთ?

ქალი: არა, არ ვიმსჯელებთ და საერთოდაც, ჩვენ არაფერზე ვიმსჯელებთ...

კაცი: ეს როგორ გაგიგოთ?

ქალი: მგონი შევცდი!

კაცი: ო-ლა-ლა! (*დაღლილი*) როგორ უყვართ ადამიანებს ყველაფრის გართულება!

ქალი: გართულება? მე ვართულებ? აბა, ერთი წამით თქვენი თავი

წარმოიდგინეთ ჩემს ადგილას: მამაკაცი შინ მეპატიჟება, მე ვთანხმდები და სტუმრად მისული, მის ცოლ-შვილს აღმოვაჩენ!...

კაცი: აღმოაჩენთ! სასწაული! ისე გამოგყავთ, თითქოს რომელიმე მათგანს გაეღოს

თქვენთვის ამ სახლის კარი?!

ქალი: ეს თითქმის ერთიდაიგივეა!

კაცი: შეხედეთ: მე მომიჩვენა, რომ თქვენ საკამოდ ფართო თვალსაწიერის პერსონა

ბრძანდებით... ღია ნატურა, გაგების საკმარისი ნიჭით. გულწრფელად რომ გითხრათ, ძირითადად ბრიყვებს ატყუებენ ხოლმე. როცა თქვენს წინაშე უბრალო ადამიანია ყოველგვარი სულელური პრინციპების გარეშე, სიმართლის გამხელით ვერ აწყენინებ. ასე რომ, როგორც უკვე მიმიხვდით, მე დაოჯახებული გახლავართ.

**ქალი:** იცით რა? მე მოვიფიქრე: მოდით ისე დავიჭიროთ თავი, თითქოს ჩვენ ამ საღამოს არც კი შევხვედრილვართ.

**კაცი:** როგორ?...არც კი რა?

**ქალი:** არც კი შევხვედრილვართ! ...უკიდურეს შემთხვევაში, რომ გასიამოვნოთ, ჩვენ, უბრალოდ, ერთსა და იმავე კაფეში გავატარეთ საღამო, თქვენ მე არ შეგინიშნევართ, მე თქვენ არ დამინახიხართ, ჩვენს შორის არაფერი მომხდარა. უფრო მეტიც, წარმოვიდგინოთ, რომ მე აქ საერთოდ არ მოვსულვარ და საერთოდ ეს ყველაფერი არ მომხდარა.

**კაცი:** ესე იგი, ახლა მე მარტო ვარ და საკუთარ თავს ველაპარაკები?

**ქალი:** ასე გამოდის...იცით, მე ცოლიან კაცებთან არ ვურთიერთობ.

**კაცი: (გამოჯავრებით),** „მე ცოლიან კაცებთან არ ვურთიერთობ!“... აბსოლუტურად სულელური ფრაზაა. აი იმგვარი: „მე სოფლად ვამჯობინებ ცხოვრებას!“ ან „კარგი წიგნი სჯობს ტელევიზორს!“ ცარიელი, არაფრისმთქმელი ფრაზები, რომელსაც მხოლოდ იმიტომ წარმოთქვამენ, რომ ყურადღება მიიქციონ!

**ქალი:** არ ვიცი, რამდენადაც ხართ ჩახედული საქმეში, მაგრამ როცა მამაკაცთან საწოლში ამოყოფ თავს, აქ კონკრეტული საფრთხეა ჩასაფრებული .

**კაცი:** ნუ ღელავ, მე ეს უკვე გავითვალისწინე!

**ქალი:** არა, თქვენ ვერ გამიგეთ.. უფრო საშიში ამბავიც არსებობს...

კაცი: მართლა? და რა არის ეს „უფრო საშიში ამბავი“?

ქალი: შეყვარების საფრთხე... და თუ მსგავსი რამ მემართება...

კაცი: შეყვარება? ვისი შეყვარება?

ქალი: თქვენ როგორ ფიქრობთ?

კაცი: ჩემი? თქვენ გეშინიათ, რომ მე შეგიყვარდებით? და რატომ უნდა მოხდეს

უთუოდ ასე? რა არის ჩემში ასეთი განსაკუთრებული? მე ერთი ჩვეულებრივი

მამაკაცი ვარ! თქვენ წარმოიდგინეთ, ზედმეტად ჩვეულებრივი! აი თითქმის

არანაირი კი!

ქალი: დიახ, თქვენ მართალი ხართ, მაგრამ ჩვენ იშვიათად გვიყვარდება

არაჩვეულებრივი მამაკაცები. როგორც წესი, ის ვინც გულში ჩაგვიყვარდება

ხოლმე, სწორედაც რომ არანაირია! თქვენ სწორდ ის შემთხვევა ხართ!

კაცი: გმადლობთ!

ქალი: მაპატიეთ. მე მუდამ სიმართლეს ვამბობ, რადგან ფარისევლობა არ მჩვევია.

კაცი: ნება მიბოძეთ, მცირედ აგიხსნათ რა განსხვავებაა დაქორწინებულ და

დაოჯახებულ მამაკაცებს შორის...

ქალი: რას ამბობთ? და მათ შორის დიდი სხვაობაა?

კაცი: უზარმაზარი! დაოჯახებული მამაკაცები მხოლოდ ცოლს როდი ფლობენ. ეს

არამხოლოდ სოციალური სტატუსია, არამედ ცხოვრების წესი. ასეთებთან

ცდაც კი არ ღირს, რადგან თამაში იმთავითვე წაგებულია. მათ საკუთარი

ნებით დაასვენს ჯვარი თავის მომავალს... ხოლო რაც შემეხება მე, ცოლიანი კი

ვარ... როგორ აგიხსნათ... არანაირი ვალდებულება არ მაქვს... ერთი სიტყვით,

მე ვარ *(ყესტით აჩვენებს ხელზე ბორკილებს)* მიმიხვდით?

ქალი(გალიზიანებით) არა, დიდად ვერა!

კაცი: მე უმარტივეს მაგალითს მოგიყვანთ , რომ უფრო იოლად გაიგოთ ...როგორც  
შენიშნეთ, დღეს ჩემი ცოლი შინ არაა...

ქალი: ნათელია!

კაცი: ასე რომ ამ საღამოს მე შინ მარტო ვარ! თავისუფალი და დამოუკიდებელი!  
აქამდე ხომაა გასაგები ?

ქალი: ჯერჯერობით , კი!

კაცი: ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემი თავისუფლება სულაც არ გახლავთ  
შეზღუდული ქორწინებით. მე ვაკეთებ იმას, რაც მსურს, და, შესაბამისად,  
ისიც...

ქალი: აააა, გასაგებია, ასე ვთქვათ, თავისუფალი წყვილი ხართ, არა? ყველას  
შეუძლია პარალელური რომანის გაბმა და შემდეგ შთაბეჭდილებების  
გაცვლა-გაზიარება... ასე და ამრიგად, არავინ არავის ატყუებს და უფრო  
მეტიც, ერთად იცინით საკუთარ თავგადასავლებზე... არ გეჩვენებათ, რომ ეს  
ყოველივე მოძველდა?

კაცი: და რა მნიშვნელობა აქვს ამას? მთავარია, რომ ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც  
მოგწონს!

ქალი: გამოდის რომ მას საყვარლები ჰყავს.

კაცი: ვის?

ქალი: ვის და თქვენს ცოლს, ისიც თქვენსავით ვიღაცას ხვდება ჩუმ-ჩუმად, სანამ  
თქვენ აქ ჩემს მოჩანგვლას ცდილობთ, ის იქ...

კაცი: არა, არა! თუმცა საიდან უნდა ვიცოდე... ის წავიდა სათხილამუროდ ჩემს  
ვაჟთან ერთად... ჩვენ, რასაკვირველია, ვურეკავთ ერთმანეთს, მაგრამ მე

არანაირ კითხვებს არ ვუსვამ მას...რადგან ვაფასებ მის თავისუფლებას.

**ქალი:** აფასებთ...და ის...ის თუ გაფასებთ?

**კაცი:** ის ძალიან ტაქტიანი ადამიანია. არადროს აძლევს თავს უფლებას, ჩამეკითხოს, ქექოს ჩემი პირადი, გამოიძიოს...თქვენ ძალზე ტრადიციული შეხედულება გაქვთ ქორწინებაზე... თქვენ მიგაჩნიათ, რომ მოაწერთ ხელს თუ არა ქორწინების მოწმობას, ვალდებული ხართ ანგარიშები ახაროთ თქვენს მეწყვილეს საკუთარი საქციელებისა და ქმედებების გამო? ეს სრულებითაც არაა ასე! არსებობს ქორწინების ნაკლებ იძულებითი ფორმები. მაგალითისათვის, როცა საღამოს შინ ვბრუნდები, ის არ მვარდება კარში კითხვით: „სად იყავი?“ არ მითვალთვალებს და არ მამოწმებს. თუ მომინდება, თავად ვუამბობ. თუ არა, ის თავად არ გამომკითხავს. მეც ასევე ვიქცევი ...რა საჭიროა, ყველაფრის ჩაკენჭვა? ან ვის ჭირდება? -არავის! ზოგჯერ, როცა მე თავად მსურს, ვუამბობ მას, თუ რაღაც საინტერესო ხდება ჩემს ცხოვრებაში ...და არანაირი დრამა არ მოსდევს ამ ამბავს...

**ქალი:** გამოდის, რომ თუ ახლა თქვენი ცოლი დარეკავს, თქვენ მშვიდად ეტყვით , რომ საღამოს ატარებთ ახალგაზრდა გოგონას საზოგადოებაში, რომელიც ერთი საათის წინ ბარში გაიცანით და, როგორც თავად შენიშნეთ, გარემოებათა თვითდინებას მიუყვებით.

**კაცი:** დ...დიახ... თითქმის... ამაზე არ დავფიქრებულვარ, თუმცა პრინციპში ასეა... *ისმის ტელეფონის ზარი. მამაკაცი მოულოდნელობისაგან შეხტება. შემტბარია... ვერ გადაუწყვეტავს, უპასუხოს თუ არა. ერთვება ავტომოპასუხე. ისმის ცოლის ხმა: „საღამო მშვიდობისა! პიერი, მარიანა და ოლივიე მოგესალმებიან! დატოვეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ თქვენი შეტყობინება.*

ცოლის ხმა: „პიერ, ეს მე ვარ! სახლში ხარ? ალო, ჩემო ძვირფასო...

**კაცი, ნირწამხდარი, იღებს ტელეფონის ყურმილს. ქალი, რომ არ გააუხერხულოს, გაერიდება, ვითომ დიდი ინტერესით ათვალთვალავს სტელაჟზე განთავსებულ სტატუებს. კაცი მთელი საუბრის განმავლობაში თვალს არ აშორებს ქალს.**

**კაცი:** ალო!... კი, ყველაფერი რიგზეა? შენ როგორ ხარ? ...არაფერს, ესესაა შემოვედი...კაფეში ვიყავი, ჭიქა ღვინო დავლიე...ესაა და ეს... კი, მარტომ...მარტოდ ყოფნა მომინდა რატომღაც... რა არის ამაში განსაკუთრებული? შენ რას შვრები? როგორი ამინდია? ...ცოტა თოვლია? აქ კი გვარიანი ყინვებია... ოლივიე? ბუნებრივია, დაილღება!...ალბათ ტელევიზორს ჩავუჯდები, თუმცა არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული... კარგი... არა, მე...  
(*ხაზგასმით ამთქნარებს*) ისე ვარ დაღლილი, ძლივს ვდგავარ ფეხზე... კარგი, ძილი ნებისა! (*კიდეებს ყურმილს*).

**ქალი კრეფს თავის ნივთებს.**

**ქალი:** მე წავალ...რაკი დაღლილობიგან ძლივს დგახართ ფეხზე...

**კაცი:** კი, ეს ისე ვთქვი...სინამდვილეში სულაც არაა ასე.

**ქალი:** აჰა, ესე იგი თქვენ ცრუობთ?

**კაცი:** რაო?

**ქალი:** ატყუებთ თქვენს ცოლს. არადა, ამბობდით, მხოლოდ ბრიყვებს ატყუებენო. გამოდის, რომ თქვენ თქვენს მეუღლეს ბრიყვად მიიჩნევთ. სრულ იდიოტად!

**კაცი:** რატომ აჭიკჭიკდით ასე უხეშად?

**ქალი:** მაშინ უკეთ ამოხსენით, თორემ მთლად დამეზნა თავგზა.

**კაცი:** თქვენ ვერ გამიგეთ! მე ვამბობ, რომ ტყუილი იმსახურებს გაკიცხვას!

**ქალი:** კი, ბატონო!

**კაცი:** მაგრამ ტელეფონით სულ სხვაა!... სატელეფონო ტყუილი, როგორ აგიხსნათ... უფრო იოლი გადასატანია, ვიდრე პირისპირ, თვალეზში მზერისას...მაგალითად, გიყურებდეთ სახეში და ვცრუობდე უფრო ძნელია, ვიდრე დაუსწრებლად ...

**ქალი:** ააა, ახლა ყველაფერი გასაგებია...

**კაცი:** შეხედეთ!.. გნებავთ, ბოლომდე გულახდილი ვიქნები თქვენთან? მოკლედ, მე თქვენ ძალიან მომწონხართ! არა, ეს არაა მართალი...მე დაგპირდით, რომ

ბოლომდე გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ თქვენ არა მომხიბვლელი, არამედ ლამაზი ბრძანდებით! ძალიან ლამაზი და მაცდუნებელი... ამ ფაქტის წინაშე კი ჩემი ოჯახური მდგომარეობა მეორე პლანზე გადადის... გესმით? სხვა საქმეა, რა მოჰყვება ყოველივე ამას, მაგრამ ამისათვის მხოლოდ ჩემი სურვილები არასაკმარისია... ამისთვის აუცილებელია თქვენი მონდომებაც ...

**ქალი:** მადლობა, რომ საჭიროდ ჩათვალეთ ჩემთან კონსულტაცია... *(სვამს ვისკის*

*და ხელახლა ისხამს)* რამდენი წლის ხართ?

**კაცი:** ბატონო?

**ქალი:** მუდამ ნათქვამის გამეორება მიწევს თქვენთვის ... რამდენი წლის ხართ?

**კაცი:** რამდენი წლის ვარ? და რისთვის დაგჭირდათ ჩემი პირადი სოციალური სივრცის ოკუპაცია?

**ქალი:** ესე იგი, ყველაფერთან ერთად, ასაკსაც მაღავთ?

**კაცი:** მე... არა, სულაც არა! სადღაც ასე 50-იანებში ვმერყეობ... იცით, ასაკი ისეთი რამაა, არადროს ვუკვირდები!...

**ქალი:** და მე რამდენი წლის ვარ? ალბათ არც ამაზე დაფიქრებულხართ?

**კაცი:** არა, მე ვიცი, რომ ჩემზე ბევრად ახალგაზრდა ხართ...

**ქალი:** რა დაკვირვებული ბრძანებულხართ?!

**პაუზა, მდუმარედ უმზერენ ერთმანეთს.**

**ქალი:** დასაწყისი არც თუ იმედისმომცემია.

**კაცი:** რაც არის, არის! (*სათს დასცქერის*) სამაგიეროდ, წინ მთელი ღამეა...

შევცედეები, შეგიცვალათ დამოკიდებულება. დრო საკმაოზე მეტი გვაქვს, და თუ არაფერი გამომივა, ასე -თუ ისე, ვიტყვი, რომ სასიამოვნო საღამო მაინც გავატარეთ, არა?

**ქალი:** კი, მეც ასე ვფიქრობ!

**კაცი:** მე არ მიყვარს, გამარჯვების წინასწარ ზეიმი! ამას გარდა, თავდაპირველად გარკვეული კამათი სასარგებლოც კია... რალაცნაირად ერთმანეთის გაგებასა და შეცნობაში გვეხმარება...

**ქალი:** რა საყვარელი ხართ!

**კაცი:** როგორ გავიგო?

**ქალი:** როგორ და, ყველაფერი მშვენივრად! ჩვენ ღამეს ერთად გავატარებთ! ნუ დეღავთ! ნახეთ, როგორ ანერვიულდით! *(ქალი იცინის და დივანზე მოწყვეტით ეშვება, კაცი დაბნეული უყურებს. ქალი თვალს არ აშორებს და კვდება სიცილით).*

**ქალი:** ძალიან გამაცინეთ! იცით, ძალიან სასაცილო ხართ!

**კაცი:** უცნაურია... თქვენთან შეხვედრამდე ამაზე არ მიფიქრია.

**ქალი:** აბა, როგორ მოგწონვართ მკაცრი მორალური პრინციპების მქონე

ქალიშვილის როლში? ხომ დაიჯერეთ, არა?

**კაცი:** კი, ასე ვთქვათ, და რა მერე?

**ქალი:** ბევრი გაცილებით ადრე ხვდება ხოლმე...

**კაცი:** ვიზე ამბობთ?...რას ხვდება?

**ქალი:** ჩემზე ... ჩემზე ვამბობ...

**კაცი:** რას გულისხმობთ? ვერაფერი მესმის...

**ქალი:** ნუთუ არცერთხელ იეჭვეთ? არაფერი გეჩვენათ უცნაურად?

**კაცი:** მაინც რას გულისხმობთ?

**ქალი:** *(გამოჯავრებით)* : „მაინც რას გულისხმობთ?“

**კაცი:** თქვით, ბოლოსდაბოლოს!

**ქალი:** იმას, რომ თქვენ ჩემი პროფესია არ გიკითხავთ... ბევრი ისაუბრეთ თქვენი თავის შესახებ, რადგან ძალიან გიყვართ საკუთარი პერსონა, მე ეს შევნიშნე... რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი თქვენ, უბრალოდ, არ გაინტერესებთ...

**კაცი:** მართალი ხართ! მაპატიეთ! მე არაფერი მიკითხავს თქვენს

შესახებ...გამყიდველად მუშაობთ?

ქალი: არა.

კაცი: მდივნად?

*ქალი უარის ნიშნად თავს იქნევს.*

კაცი: ლაბორანტად?

*ქალი კვლავ უარობს.*

კაცი : პედაგოგი ხართ?... ფოტომოდელი?

*ქალი აშკარად ხალისობს და თავს ღიმილით იქნევს.*

კაცი: ნამდვილად აღარ ვიცი... ალბათ უფრო მარტივია, თავად თქვენ

გკითხოთ...სად მუშაობთ?

ქალი: თქვენ ვერ ხვდებით?

კაცი : ვერა.

ქალი: ცოტა კიდევ სცადეთ. მოძებნეთ სხვა პროფესიებში...თუნდაც სრულიად

საპირისპიროში...

კაცი: სხვა პროფესიებში...

ქალი: მიდით...თამამად!

კაცი: მე გამოცანების გამოცნობა დიდად არ მეხერხება.

ქალი: მაგრამ თქვენ ხომ ჭკვიანი ადამიანი ბრძანდებით!

*კაცს სახე ეცვლება...როგორც იქნა მიხვდა...*

კაცი: (ყოყმანით) არ არსებობს!

ქალი: მიხვდით, როგორც იქნა!

კაცი: მე არ მჯერა თქვენი!

ქალი: ნუთუ?!

კაცი: არა, თქვენ...არ არსებობს!

ქალი: როგორ იქნა, გამოიცანით!

კაცი: თქვენ...შეუძლებელია!... თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ...ახლა თქვენ სამსახურში ხართ? აქ, ჩემთან, თქვენს პროფესიულ მოვალეობას ასრულებთ?...

ქალი: არა, მე ჯერ არ შევდგომივარ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას!...

კაცი: თქვენ... გამოდის, რომ თქვენ ამ უმძიმესი პროფესიის წარმომადგენელი ბრძანდებით? სწორად გავიგე?

ქალი: არა, არც თუ ისე მძიმეა, როგორც ფიქრობთ...მე განსაკუთრებულ კლიენტებს ვემსახურები... მე არ ვდგავარ დღე და ღამ ქუჩაში, ყინვასა და ქარში...მე მივდივარ შინ ადამიანებთან, ვისაც მყუდრო, ლამაზი აპარტამენტები აქვთ... სასმელს მთავაზობენ და მეპრანჭებიან... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ბევრი უარესი პროფესიაც არსებობს

კაცი:.....

ქალი: ახლა გასაგებია თქვენთვის ყველაფერი ?

კაცი: ესე იგი, მე სახლში სექს-მუშაკი მყავს? მე სახლში ჩვეულებრივი მეძავი მოვატრიე?

ქალი: (ნაწყენი ტონით) რატომ ასე უხეზად? ნუთუ უფრო რბილი ფრაზა არ მოიძებნება?

კაცი: მოკეტე!

ქალი: -----

კაცი: მაპატიე!... ვერც კი წარმოვიდგენდი!... იქ , კაფეში რომ ვსაუბრობდით, ერთი სიტყვაც არ დაგცენია, რომ რამეს მივმხვდარიყავი!...ზოგი ისეთია, კილომეტრიდან მიხვდები, ვინცაა და რაცაა. ეგრევე ჩაცმა ყიდის...შენ სულ სხვა ხარ...

ქალი: მე არ მიყვარს გამორჩეულობა...

კაცი: ამიტომაც ვერ მივხვდი ვერაფერს!...შენ კი... მე ხომ მაშინათვე მივხვდებოდი!

**ქალი:** მე სწორედ ამით გამოვიჩინე სხვებისგან. არამარტო ჩაცმით... მე არადროს ვჩქარობ და მუდამ ბევრი დრო მაქვს... ერთი კლიენტი სავსებით მყოფნის სადამოს განმავლობაში ...ისევე როგორც სხვა პროფესიებში: რაც ნაკლებია კლიენტი, მით უკეთ ემსახურებით...

**კაცი:** ესე იგი, შენ იქვე ამოიცანი ჩემში პოტენციური კლიენტი? მე , რა, კლიენტის შთაბეჭდილებას ვტოვებ?

**ქალი:** დიახ, ძალიან კარგი კლიენტის!

*კაცი სახეს ისრესს, ვისკის მოსვამს და ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს ...*

**ქალი:** გაწყენინეთ?

**კაცი:** ...არ ვიცი... როგორმე უნდა გადავხარშო ეს ყველაფერი...

**ქალი:** არა, წარმოიდგინე, რომ მოვსულიყავი და უბრალოდ მეთქვა: თქვენ ჩემი მომსახურება სულ რაღაც 500 ევრო დაგიჯდებათ!... შემომხედავდი და მშვიდად და ღიმილით მეტყობდი: მადმუაზელ, ძალიან თავაზიანი ხართ, მაგრამ მე თქვენი მომსახურება არ მჭირდება!

**კაცი: (შეკრთომით)** ააა, ესე იგი კიდევ 500 ევრო მაქვს გადასახდელი?

**ქალი:** დაახლოვებით...

**კაცი:** 500!

**ქალი:** რა? იქნებ არ ვიმსახურებ?

**კაცი: (დაბნეული)** არა, არა, რასაკვირველია, იმსახურებთ, მაგრამ 500 ევრო სოლიდური თანხაა.

**ქალი:** ხუმრობ? წარმოიდგინე, პატიჟებ ვიღაც ქალიშვილს ვახშამზე. იმავე ღამეს ლოგინში ხომ არ შეითრევ? მაშასადამე, პატიჟებ მეორედ...მესამედ...ორიოდე კვირის თავზე ის, როგორც იქნა, თანხმდება შენთან ერთად ღამის გატარებას. ერთი სიტყვით, რესტორნები, (თუ რა თქმა უნდა, მაკდონალდსში არ წაიყვან), სასტუმროები, მინიმუმ

სამვარსკვლავიანი... ბენზინი, მე შევამჩნიე, თქვენი მანქანა გვარიანად  
ნთქავს საწვავს... საჩუქრები და სხვა წვრილმანი...მოკლედ, ეს ყველაფერი  
გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ!....

**კაცი:** ( თანხმობის ნიშნად თავს იქნევს) ...სრული ჭემმარიტებაა!(სვამს).

**ქალი:** ჩემთან კი არავითარი გაუთვალისწინებელი ხარჯი არ არსებობს...  
ყველაფერი გადასახადშია, თვით საშემოსავლოც კი...თუ საქმე  
თავმოყვარეობის შელახვაზე მიდგება, შემიძლია, დაგამშვიდო, რომ მე  
საგანგებოდ ვარჩევ კლიენტებს. თუ მამაკაცი არ მომეწონა, სულ რომ ათმაგი  
შემომთავაზოს, უარს ვეუბნები!...არჩევანი ჩემზეა!

**კაცი:** (დათრგუნულად) დიდი პატივია!...

**ქალი:** მამაკაცმა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ჩემზე...აი, როგორც თქვენს  
შემთხვევაში...

**კაცი:** და რა დროიდან ეწევი ამ საქმიანობას?

**ქალი:** პირველად ეს ორი წლის წინ მოხდა. სრულიად შემთხვევით... ის 35 წლის  
იყო, ტეხასელი...შლაპიანი...მაღალ ჩექმებში...ყველაფერი როგორც წესია...  
ის ქუჩაში მომიახლოვდა და მკითხა, როგორ მისულიყო ეიფელის  
კოშკამდე. საქმე არაფერი მქონდა. მამაკაცი საკმაოდ სიმპათიური იყო და  
გადავწყვიტე, თავად მიმეცილებინა... ჩვენ მთლად კენწეროში ავედით და  
სწორედ იქ წარმოთქვა პოეზიითა და რომანტიკით აღსავსე ფრაზა  
(ამერიკული აქცენტით) „როდესაც აქედან ძირს იყურები, ადამიანები  
ცეროდენა მწერებად გეჩვენებაო!“

**კაცი:** ის შეუდარებელი იყო...

**ქალი:** არა, სულაც არა, ოდნავ ხორცსავსე, თან საშინლად ეცვა, მაგრამ  
რადაცნაირად ალერსიანი და ნაზი გამოხედვა ჰქონდა... გასეირნების  
შემდეგ, მაღლობის ნიშნად, ბარში სასმელზე დამპატიჟა...რატომაც, არა!...რა  
არის ამაში განსაკუთრებული?! -გავიფიქრე...ჩვენ ხომ მთელი ორი საათი  
გავატარეთ ერთად...

**კაცი:** შენ რა, ვერ მიხვდი სასმელს რა მოყვებოდა?

**ქალი:** არა, მართალი გითხრათ, არ მიფიქრია!...ის დიდ მოუხეშავ დათვის ბელს მაგონებდა...ერთი სიტყვით, ჩვენ მასთან სასტუმროში წავედით...ეს სასტუმრო „კრიონი“ იყო... მაგრამ ბარში არცერთი თავისუფალი მაგიდა არ იყო და ჩვენც მასთან ავედით ნომერში. მან შამპანური შეუკვეთა!...და იქ შევნიშნე, რომ ბევრი ფული ჰქონდა. უგემოვნოდ კი ეცვა, მაგრამ სამაგიეროდ, ფული ჰქონდა ჩეჩქივით... კუპიურები ჩექებშიც კი ჰქონდა შენახული...მამამისი რომელიღაც ნავთობკომპანიის თანამფლობელი გამოდგა. ასეთი მამის შვილის კვალობაზე არცთუ ურიგოდ იკოცნებოდა. ძალიან ნაზად მექცეოდა ...ბოლოს, ჯიბიდან 1000 ევროიანი გააძრო და მკითხა, საკმარისი იყო თუ არა ჰონორარად? და აქ უყოყმანოდ დავეთანხმე: „თქვენ ნამდვილად არ შეგშლიათ...ეს ზუსტად ჩემი საფასურია!“

**კაცი** *ოხვრით ბოლთას სცემს ოთახში, თითქოს ცდილობს მოსმენილის*

*გადახარშვას.*

**ქალი:** შენ ამას პირველად აკეთებ?

**კაცი:** რას ვაკეთებ პირველად?

**ქალი:** ფულს პირველად იხდი?

**კაცი:** ... მე ჯერ არაფერი გადამიხდია, გასაგებია?

**ქალი:** მაგრამ შენ მოგიწევს გადახდა... შენ ისედაც მშვენივრად ხვდები, რით დასრულდება ყოველივე...

**კაცი:** ალბათ დადგება დრო, როცა ამაში ფულს გადავიხდი ხოლმე, მაგრამ

ჯერჯერობით მშვენივრად გამაქვს თავი...

**ქალი:** ვიცი... რად ბრაზობ? მაგრამ მაინც საიამოვნოა პროფესიონალთან

ურთიერთობა. აი, ნახავ, არ გაგიცრუებ მოლოდინებს.

**კაცი:** იმედი მაქვს.

**ქალი:** მაშინ რაშია პრობლემა?

**კაცი:** (წამიერი ყოყმანით) საქმე ფულში სულაც არ არის. უბრალოდ, საკუთარ თავს ვერ გადავახტები. დიდი გაუგებრობა მოხდა.

**ქალი:** მესმის...ჩემი ბრალია. ვწუხვარ, რომ ასე გამოვიდა (კრებს თავის ნივთებს) რაკი ასეა, მე დაგტოვებთ! მშვიდობით!

**კაცი:** მოიცა...რატომ ასე გადაჭრით? რა, არ შეგვიძლია ცოტაც ვისაუბროთ?

**ქალი:** გაფრთხილებთ: ვაჭრობას არ ვაპირებ!

**კაცი:** დაჯექი, თუ შეიძლება.

*ქალი მორჩილად ჯდება. კაცი ასხამს ჭიქებში.*

**კაცი:** არ შეგიძლია...წარმოიდგინო, რომ დღეს თავისუფალი ...ასე ვთქვათ, გამოსასვლელი დღე გაქვს... ვთქვათ, რაიმე დღესასწაული... შენ გაიცანი ადამიანი, რომელიც მოგეწონა, განა თავად არ თქვი?!... მოკლედ, დღეს „day off “ გაქვს! და შენ თავისუფალი ხარ სამსახურიდან!

**ქალი:** მე არადროს მაქვს თავისუფალი დღე. მე მუდმივად ვმუშაობ.

**კაცი:** შენ რა, არადროს ისვენებ? ასე ხომ გადარევა შეიძლება!

**ქალი:** გადარევა უფრო იმ მამაკაცებისგან შეიძლება, რომელსაც სჭირდებათ ახსნა, რომ ამ საქმეში ფულის გადახდაა საჭირო. ვერ ვიტან, ფულის გამო კამათს!

*პაუზა. ორივე მდუმარედ სვამს.*

**კაცი:** და როცა შვებულებით სადმე მიემგზავრები, მაშინ ხომ წყვეტ საქმიანობას?

**ქალი:** მხოლოდ დედას სანახავად მივემგზავრები ხოლმე... ის საფრანგეთის სამხრეთით, პატარა სოფელში ცხოვრობს... მასთან ერთად სულ რამდენიმე დღეს ვატარებ, არაუმეტეს ერთი კვირისა... იქ კლიენტს სანთლით ვერ იპოვი და ამასთან ყველა ყველას იცნობს...ასე რომ... ისე, დედასთვის ეს ამბავი ნამდვილი შოკი იქნება!

**კაცი:** ესე იგი დედამ არ იცის, რას აკეთებ?

**ქალი:** გაგიჟდით? ოფიციალურად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

დედა ამით ძალიან ამაყობს. თავად 15 წლის ასაკში მოუწია სკოლის მიტოვება.

**კაცი:** მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ის უთუოდ მოინდომებს თვალი შეავლოს შენს დიპლომს ...

**ქალი:** ვეტყვი, რომ გამოცდებზე ჩავიჭერი... ამასობაში ვინმე ადვოკატს ან ექიმს გავიცნობ და ცოლად გავყვები... ასე ვთქვათ, ქორწინება სიყვარულით. ..და ყველა კმაყოფილი იქნება.

*კაცი უგუნებოდაა, სვამს და ოხრავს.*

**ქალი:** ამ ფასად შენ ყველა სიამოვნებას მიიღებ, რასაც მოისურვებ, არავითარი შეზღუდვები!

**კაცი:** მართლა?

**ქალი:** (ნაზად, ჟღურტულა ხმით) იმასაც, რასაც ვერადროს გაუბედავ და მოსთხოვ საკუთარ ცოლს...

**კაცი:** მაგრამ ჩემს ცოლს ამ ამბავში არანაირი ბარიერები არ აქვს... მე ვიტყვდი, იგი განსაკუთრებული ტალანტითაა დაჯილდოვებული ამ საქმეში და შესაძლოა, შენზე ნიჭიერიცაა...

**ქალი:** (სიცილით) მაშინ ნამდვილად უღირს მოსინჯოს საკუთარი თავი ამ სარბიელზე!...

**კაცი:** (გაყინული ხმით) მაპატიეთ, რაღაც ვერ გაგიგეთ.

**ქალი:** კარგი რა! ..უბრალოდ, ვიხუმრე...

*პაუზა...კაცი ვერდავერ უბედავს...*

ქალი: რა გაეწყობა...ახია ჩემზე!

კაცი: თუ...ვთქვათ...რამდენიმე დღის შემდეგ... შევიცვალი ჩემს გადაწყვეტილებას,  
სად შეიძლება თქვენი ნახვა?

ქალი: მე არადროს ვუტოვებ კლიენტს ჩემი ტელეფონის ნომერს... მშვიდობით!...

კაცი: მოიცა!

ქალი(დაღლილი) არ გეჩვენებათ, რომ უკვე ყველაფერია ნათქვამი...

კაცი: არ წახვიდე...მოდი ჩემთან.

*ქალი უახლოვდება.*

კაცი: (დაყვავებით) ესე იგი, სხვა გამოსავალი არ არსებობს?

ქალი: ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ.

*კაცი აღებს საწერი მაგიდის უჯრას, იღებს კუპონებს, გადათვლის 500 ევროს და უწვდის ქალს.*

კაცი: კმაყოფილი ხარ? შედგა სადამო?

ქალი: (ითვლის ფულს) სავსებით... (ფულს ჩანთაში იღებს) ნება მომეცი, მხოლოდ ერთი კითხვა დაგისვა. მეტი თანხა რომ მომეთხოვა, გადამიხდიდი?

კაცი: რა ხდება...

ქალი: წარმოიდგინეთ, რომ მოგთხოვეთ...700 ევრო! მე ვამბობ 700-სს!

კაცი: რა გემართებათ?

ქალი : 700!

კაცი: (გაყინული ხმით) თუ ეს ხუმრობაა, ძალიან უკბილოდ გამოგდით!..სულაც არ მეცინება. ჩვენ უკვე შევთანხმდით! 500!

ქალი: და რა განსხვავებაა: სადაც - 500, იქაც -700!

კაცი: ე.ე. არა! 500 500-ია და 700 -700!

ქალი: 200 ევრო თქვენს ოჯახურ ბიუჯეტს დიდ დარტყმას მიაყენებს?

კაცი: აბსოლუტურად არანაირს...უბრალოდ პრინციპის ამბავია!

ქალი: 650!

კაცი: 500!

ქალი: არაფრად გიღირთ და ...650!

კაცი: 500!

ქალი: მე ხომ დაგითმეთ?

კაცი: მეც ასევე, თავდაპირველად სულაც უფასო უნდა ყოფილიყო...

ქალი: ჯანდაბას - 600 და მოვრჩეთ ვაჭრობას!

კაცი: ერთადერთი რასაც მიაღწევ შენი ვაჭრობით ის არის, რომ ყველანაირ

სურვილს დამიკარგავ...

ქალი: პირიქით, რაც უფრო მაღალია ფასი, მით სასურველია ნასყიდობა! თუნდაც

ავიღოთ ეს თქვენი იაპონური ფისუნია. დარწმუნებული ვარ, გაცილებით

ძვირი დაჯდა!

კაცი: 500!

ქალი : 550!

კაცი : 500!

ქალი: საკმაოდ ჯიუტი ყოფილ ხარ, არა?

კაცი: ვერ ვიტან, როცა მეწველ ძროხად მივაჩნევარ ვისმეს... უკანასკნელად, ვამბობ

500!...თუ არა და, შეგიძლია მიბრძანდე!

ქალი: უუუუ, ბატონი ბრაზობს!

კაცი: მე ვამბობ 500! თანახმა ხარ?

ქალი: ბატონი ძალიან, ძალიან ბრაზობს!

კაცი: ფული დამიბრუნე და წადი!

**ქალი:** (მოულოდნელად ცივი ხმით) დამშვიდდი! არც 500 და არც 700! (მკვეთრი მოძრაობით უბრუნებს თანხას ისე, რომ კუბიურები გაფრიალდებიან ოთახში) აჰა! გამომართვი! გჩუქნი! უბრალოდ, გაგეთამაშეთ! მინდოდა, თქვენი რეაქცია მენახა. ხომ მაქვს უფლება, ზოგჯერ ვიხალისო? თქვენ რა, მართლა იფიქრეთ, რომ ამას ფულის სანაცვლოდ გავაკეთებდი?

**კაცი:** ...როგორ გითხრათ...თქვენ აწესებთ ფასს და მეც მოგდევთ.

**ქალი:** (კმაყოფილი სიცილით) არ აკრებთ?

**კაცი:** (გამგმირავ მზერას ესვრის) ...

**ქალი:** (ნაზად) მე დაგეხმარებით...

*ერთად კრებენ ფულის მიმოფანტულ კუბიურებს.*

**კაცი:** (შვებით ამოისუნთქებს და უწინდელ ხალისს იბრუნებს) და მაინც, მე

ინტუიციას არ ვუჩივი... თქვენში არის

რაღაც... განსაკუთრებული!... ზედმეტად ნატიფი... მეძავად არ გამოდგებით! ეს

სათქვენო საქმე არაა...

**ქალი:** არა, ჩემი საქმე არაა... სინამდვილეში...

**კაცი:** ასეც ვიფიქრე...

**ქალი:** გამოგიტყდებით, ვგიჟდები თამაშზე... ვძვრები რომელიმე პერსონაჟის

ტყავში და გარდავისახები... უმცირეს წვრილმანებამდე! ...ეს იოლი

როდია!... გარკვეულ მომზადებას მოითხოვს, მაგრამ მე მომწონს.

**კაცი:** ბოლოდსდაბოლოს ვინ ხართ?

**ქალი:** არავინ. ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანი, ისევე როგორც სხვები. ნუ

ღელავთ!

**კაცი:** სრულებით არ ვღელავ! უბრალოდ, ინტერესით ვკვდები და

გეკითხებით: ვინ არის ჩემთან სტუმრად?

**ქალი:** ქალი, რომელიც დაინტერესებულია თქვენი პერსონით. ხშირად პატიჟებთ

სახლში გოგნებს, როცა თქვენი მეუღლე შინ არაა?

**კაცი:** თითქმის არასდროს.

**ქალი:** არასდროს?

**კაცი:** და თქვენ ხშირად შეხვედრიხართ ქალიშვილებს, რომლებიც პირველივე

მიწვევაზე გაჰყოლიან სახლში ახლადგაცნობილ მამაკაცს? თუ

გავითვალისწინებთ, რამდენი შეშლილი და გზააზნეული დააბიჯებს ქალაქის

ქუჩებში, ეს საკმაოდ სარისკო ნაბიჯია.

**ქალი:** გიღალატიათ ცოლისთვის? ასე ვთქვათ, დაგირღვევიათ ერთგულების ფიცი?

**კაცი:** ერთგულება...მინდა გითხრათ, რომ ერთგულება მამაკაცისათვის სულაც არ

გახლავთ ცოლისადმი სიყვარულის დასტური...

**ქალი:** რას ამბობთ! მაშ, თქვენი აზრით რა არის სიყვარულის დასტური? მინდა,

ვიცოდე...

**კაცი:** საუკეთესო დასტური ყურადღებაა, რომელსაც ვუძღვნით ცოლს. უნარი,

მოუსმინო და გაუგო. არ აქვს მნიშვნელობა, ღალატობ თუ არა. მთავარია, მუდამ

მის გვერდით იყო. სჯობს ღალატობდე და ანებივრებდე, ვიდრე ერთგულებდე და

უყურადღებოდ ექცეოდე. სხვათაშორის, შეხედეთ, უბედურები სულაც არ არიან ის

ქალბატონები, ვისაც ქმრები ღალატობენ. პირიქით, მამაკაცი, რომელსაც უყვარს

რომანები, მუდამ ალერსიანი და ყურადღებიანია საკუთარ ცოლთან. ის ცდილობს,

საკუთარი ღალატი ზედმეტი ყურადღებით დააბალანსოს. და თანაც ისე, რომ არ

გასცეს საკუთარი თავი. დამოკიდებულება ცოლისა და საყვარლისადმი ასევე

განსხვავებულია. „უიქენდზე“ გაჰკრავ სადღაც ქალაქგარეთ საყვარელთან ერთად

და მერე ცოლს მთელი კვირით გაასეირნებ საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. აჩუქებ

სუნამოს საყვარელს და იქვე ცოლს ძვირფას კოლიეს უყიდი. არავითარი

დისკრიმინაცია! უბრალოდ, საწოლში ალერსისას ოდნავ უფრო გულუხვი ხარ საყვარელთან. ესაა და ეს.

**ქალი:** გამოდის, რომ ამ საქმეში დიდი გამოცდილება გაქვთ.

*კაცი დალლით იქნევს ხელს.*

**ქალი:** ხშირად ღალატობდით?

**კაცი:** არა, სერიოზულად არასდროს მიღალატია ...ისე, შემთხვევითი კავშირები

...წამიერი შეხვედრები იცოცხლე!...

**ქალი:** ჩემი ასაკის ქალიშვილებთან თუ უფროსებთან?

**კაცი:** ისე, დიდი ნაბიჭვარი ვინმე კი ხართ...

**ქალი:** მიდი, მიდი, ჩამოყაჭეთ!

**კაცი:** უფრო ახალგაზრდებთან. როგორ წესი, მათ ნაკლები პრეტენზია და მეტი

ფანტაზია აქვთ. რესტორნის ნაცვლად იოლას შეიძლება გავიდეს კაცი

თუნდაც „მაკდონალდსით“. არ გიხდება ფულის ხარჯვა „მეტროპოლზე“,

უბრალო სასტუმროსაც დაიქირავენ... არსებობს გარკვეული უხერხულობაც,

მაგალითად, დისკოტეკა, სადაც ზედმეტად ხმაურიანი მუსიკა ჟღერს და

ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ჩაქუჩს გირტყამდნენ თავში. უბრალოდ,

აუტანელია! თუმცა ეს მაინც სჯობს კავშირს ქალთან, რომელიც სამომავლო

გეგმებს ალაგებს, ცდილობს ოჯახის უღელი დაგადგას, ბავშვი გააჩინოს და

შენთან ერთად სადმე სოფლად დასახლდეს.

**ქალი:** თქვენ რა, ასე უბედური ხართ საკუთარ ცოლთან ?

**კაცი:** განა მე ეს ვთქვი?

**ქალი:** აბა რატომ?

**კაცი:** რა რატომ?

**ქალი:** რატომ ეძებთ გვერდით კავშირებს?

**კაცი:** ჩვენ 16 წლის ცოლ-ქმარი ვართ... დროის სწრაფი დინება სულ

ტყუილია!... მოჩვენებითობა!... დრო კატასტროფულად ნელა იწელება. 16

წელი ძალიან ბევრია! სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოება კი

სწორედ წამიერ ავანტიურებსა და ჰაერის ხანმოკლე ყლუპ-ყლუპა

ჩასუნთქვებშია. სხვა შემთხვევაში შეიძლება დაიღრჩო. ძალიან

მნიშვნელოვანია სუნთქვის ვარჯიშების ცოდნა.

**ქალი:** და არადროს გიფიქრიათ, რომ მიგეტოვებინათ ყველა და ყველაფერი და

ცხოვრება თავიდან დაგეწყით?

**კაცი:** ეს რა, დაკითხვაა? პოლიციიდან ხომ არ ხართ?

**ქალი:** ჩვენ უბრალოდ ვსაუბრობთ... მოდუნდით, თორემ ძალიან დაიძაბეთ... და

რას მოელოთ ამ თქვენი „ჰაერის ხანმოკლე ყლუპ-ყლუპა ჩასუნთქვებიდან“?.

**კაცი:** რას ველი? არც არაფერს... ცხოვრება ხანმოკლეა... ესაა და ეს.

**ქალი:** მაპატიეთ, მაგრამ ეს ბანალურად ჟღერს... ორიგინალურობა აკლია.

**კაცი:** სამაგიეროდ, სიმართლეა. მამაკაცთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა

გაცილებით ხანმოკლეა, ვიდრე ქალების, ამიტომაც ეშურებიან ისინი

მაქსიმალურად მეტი სიამოვნების მიღებას. ასე ვთქვათ, ეს მათი ხანმოკლე

სიცოცხლის ერთგვარი კომპენსაციაა.

**ქალი:** (ცუღლუტად) ოოო, დიდი ეშმაკი კი ბრძანდებით!

**კაცი:** ასაკს თავისი უპირატესობა გააჩნია- გააზრებასა და გაანალიზებას ასწრებ.

რატომ? რატომ ხდება ასე? რატომ სურთ ადამიანებს ასე და არა იმგვარად?

ბევრი უპასუხო კითხვაა და პასუხები ამ კითხვებზე ასაკთან ერთად მოდის.

ათას პანდურთან და წაბორძიკებასთან ერთად... ასე რომ, მხოლოდ

ცხოვრების ფინალისკენ თუ ხვდები რა, რატომ და რისთვის...

**ქალი:** განაგრძეთ.

**კაცი:** მე უკვე დავასრულე...

**ქალი:** მე ვატყობ, ბევრის სწავლა შემოდის თქვენგან...

**კაცი:** მე კი იგივეს ვერ ვიტყვოდი... თუმცა მეც მინდოდა რაღაც-რაღაცეების

გარკვევა... მაგალითად, ვინ ხართ და რას აკეთებთ ჩემს სახლში?

**ქალი:** ცნობებს ვაგროვებ.

**კაცი (ანგარიშში უცემლად)** ცნობებს აგროვებთ?

**ქალი:** *(სიამოვნებს, რომ მასზე გავლენა მოიპოვა)* დამისხით, თუ შეიძლება და

თავადაც დაისხით. თქვენ ეს უთუოდ დაგჭირდებათ.

**კაცი მორჩილად ასხამს ჭიქებში.**

**ქალი:** მე და თქვენ ხომ შემთხვევით არ შევხვდით იქ, კაფეში...

**კაცი: (დამაბული)** შემთხვევით არ შევხვდით?

**ქალი:** თავდაპირველად დაკომპლექსებული, უფერული გოგონა, მერე უეცრად

მეძავი... ორი უკიდურესობა... ასე განსხვავებული და ერთმანეთის

საპირისპირო იმიჯი...

**კაცი:** მე რაღაც არ მესმის თქვენი...

**ქალი:** მე სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს შევისწავლი...

**კაცი:** ისევ გაუგებარია...

**ქალი:** მე კვლევას ვაწარმოებ...

**კაცი:** სრული უკუნი!

**ქალი:** „და ქალი“, ეს სახელწოდება რამეს გეუბნებათ?

**კაცი:** არა, ეს ვინღაა?

**ქალი:** „და ქალი“ ყოველთვიური ჟურნალია.

**კაცი:** რა ჟურნალი?

**ქალი:** ყოველთვიური ჟურნალია ქალებისათვის... ზოგჯერ ფემინისტების

ჟურნალსაც უწოდებენ. ამ ჟურნალში ყველა სტატია ქალების დაწერილია სხვა ქალების შესახებ.

**კაცი:** მერე?

**ქალი:** წელიწადში სამჯერ ჩვენ ვატარებთ მასობრივ გამოკითხვას, რათა გავიცნოთ

და მეტად ამოვხსნათ ამ უცნაური ცხოველის არსი, მამაკაცს რომ უწოდებენ.

მე ჩვენს რედაქტორს შევთავაზე ნარკვევის დაბეჭდვა ქალთა დასაბმელად

მამაკაცთა მიერ გამოყენებული ხერხების შესახებ. იმ ყველა ოინისა და

ეშმაკობის შესახებ, რომელთა წყალობით კაცები მუდამ ახერხებენ ქალების

გულების მონადირებას. ცოლიანი მამაკაცი განსხვავებული სახის

მტაცებელია. მას მომატებული რისკის ქვეშ უწევს მოქმედება. და

მიუხედავად, ამისა, სტატისტიკის მიხედვით, მათ ყველაზე უკეთ გამოსდით

წყლიდან მშრალი გამოსვლა . ჩვენც სწორედ ეს პარადოქსი შევარჩიეთ

კვლევის ობიექტად.

**კაცი:** ეს იგი, თქვენ რა...

**ქალი:** ჟურნალისტი ვარ...ამ შემთხვევაში სპეციალური კორესპონდენტი.

**კაცი:** და თქვენ ანკეტას ავსებთ...

**ქალი:** და ჩემი სამსახურიც ნამდვილად მოვლენების ეპიცენტრშია...

**კაცი:** (იქნევს თავს) მე არ მჯერა თქვენი! ეს შეუძლებელია!

**ქალი:** არ გჯერათ?

კაცი: თქვენ სრულებით არ ჰგავხართ ჟურნალისტს. ისინი სხვაგვარად  
გამოიყურებიან.

ქალი: თქვენი წარმოდგენა ამ პროფესიაზე, როგორც სჩანს, მოძველდა...

კაცი: ტყუილია.

ქალი: (ჩანთიდან მოწმობას იღებს) ეს პირადობის მოწმობაა, ეს კი სამუშაო

იარაღი...ძალიან მოსახერხებელი ნივთია... და თანაც, როგორც ხედავთ,

სრულიად თვალით შეუმჩნეველი (*ჩანთიდან იღებს ხმის ჩამწერს*) ესეც ასე.

ეს ჩვენი შეხვედრის პირველივე წუთიდანვე იწერს...ამ ღილაკით ირთვება და

ამით ითიშება. რადგან არ გჯერათ ჩემი, მე ახლა მოგასმენინებთ ჩანაწერს

კაცი: რა ჩანაწერს?

ქალი: საკუთარ ჩანაწერს. სხვა რა უნდა იყოს? (რთავს ხმის ჩამწერს)

*მუსიკის ფონზე ისმის ქალისა და მამაკაცის ხმები.*

კაცი: თქვენ გაიღიმეთ თუ მომეჩვენა?

ქალი: არა, არა, არავითარი მოლანდება... მე მართლაც გაგიღიმეთ...

კაცი: როდესაც ასე მომხიზვლელად მიღიმიან, ავტომატურად ჭიქა სასმელზე

*ვპატიჟებ ხოლმე... შემიძლია დაგპატიჟოთ?*

ქალი: მე ჩემი ნორმა უკვე მივიღე...

კაცი: მაშინ ახალი შევუკვეთოთ...

ქალი: და რომ დამათროს?

კაცი: მერე რა მოხდა?

ქალი: კარგი, რაც არის, არის!

კაცი: (ოფიციალტს) ვისკი, მადმუაზელისათვის, თუ შეიძლება! რა გქვიათ?

ქალი: ჯულიეტა!

კაცი : მე პიერი ვარ!

ქალი:.....

კაცი: თქვენ ვინმეს ელით?

ქალი: არავის... მერე?

კაცი: მეც არავის ... ჩვენ ნამდვილი ღამის ორი მოგზაური ვართ ... აი როგორც ერთ

სიმღერაშია ...იცით ეს სიმღერა?

ქალი: არა.

კაცი : (ღიღინით)

*Stangers in the night / Exchanging glances*

*Wondering in the night / What were the chances*

*We'd be sharing love / Before the night was thruuugh !*

ქალი თიშავს ხმისჩამწერს და ჩანთაში ინახავს. კაცი გამგმირავად უმზერს .

ქალი: აბა, როგორ მოგეწონათ საკუთარი გვერდხედი?

კაცი: სიცილით მოკვდება კაცი! ამას ხშირად აკეთებთ?

ქალი: გააჩნია...

კაცი: (მუქარით) მე ეს არ მომწონს.

ქალი: ასე ნუ ღელავთ. არსად გაჟღერდება არც თქვენი ვინაობა და არც მისამართი,

ხოლო, რაც შეეხება თქვენს ხრიკებს, ვფიქრობ, ბევრი ამოიცნობს თავის

თავს ...

კაცი: და რა მიზანს ემსახურებით? ყმაწვილ ქალწულებს უტარებთ მორალის

გაკვეთილებს, რომ დაიცვათ ისინი საფრთხისაგან? „იყავით ფხიზლად! ნუ

წამოეგებით მამაკაცების ანკესს!!!“

ქალი: არა, არავითარი მორალის კითხვა! მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია.

ფსიქოლოგიური ესსე. მამაკაცი, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება ვისმეს შეცდენა საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკამაყოფილებლად. მამაკაცი სარგებლობს ცოლისა და შვილის შინ არ ყოფნით და ეპატიჟება მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალს. „ავიდეთ ჩემთან , თითოც დავლიოთო“. სულაც არ არის უხამსი წინადადება და გოგონაც დაუფიქრებლად თანხმდება. კლასიკური ხერხია, რომელსაც არადროს გასდის ყავლი! მოქმედი პირი ორია- ახალგაზრდა გოგონა, ცოტა გულუბრყვილო, მაგრამ არც მთლად გამოუცდელი, და რესპექტაბელური, დახვეწილი, წარმატებული ბიზნესმენი - საკუთარი თავით ფრიად კამაყოფილი შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი ...

**კაცი:** ძალიან თავაზიანი ხართ, მადლობა!

**ქალი:** მაგრამ თქვენ შესანიშნავად გამოიყურებით! გამოგიტყდებით, მე როგორც ჟურნალისტი, იძულებული ვარ, ასაკს ხაზი გავუსვა , მაგრამ როგორც ქალს, ერთობ მიმზიდველ მამაკაცად მიმაჩნისხართ და, ვფიქრობ, ასაკთან მიმართებაში არც თუ ურიგოდ გამოიყურებით.

**კაცი( ნერვიული ჩაცინებით)** „არც თუ ურიგოდ“, არა?!

**ქალი :** მე აუცილებლად გამოგიგზავნით სტატიას, როგორც კი მოვამზადებ. მასში არანაირი ანგარიშსწორება და თავდასხმები არ იქნება. ჩვენ არ ვგეგმავთ, საწინააღმდეგო სქესს რაიმე მორალური ზიანი მივაყენოთ. ჩვენ მხოლოდ თქვენი უკეთ შეცნობა გვსურს.

**კაცი:** მოხარული ვარ, რომ სამსახური გაგიწიეთ.

**ქალი:** არა, მართლა, არ გაბრაზდეთ და მოდი, ერთმანეთს მეგობრული ხელი

გავუწოდოთ.

*მამაკაცი ხელს ართმევს ქალს დიდხანს და დაჟინებით უმზერს.*

**კაცი:** თქვენ უკვე დაასრულეთ და წასვლას აპირებთ!

**ქალი:** დიახ, თუ, რა თქმა უნდა, კიდეც რამის მოყოლას არ აპირებთ...

**კაცი:** შეგვეძლო, ცოტაც გვესაუბრა...ჯერ ხომ ბოლომდე არ დაგვიცლია ბოთლი ..

**ქალი:** ძალიან თავაზიანი ხართ, მაგრამ მე უკვე საკმარისი დავლიე დღეს და თავს

ნებას მივცემ, გითხრათ, რომ თქვენც არანაკლები...

**კაცი:** დაიცადეთ...

**ქალი:** კიდეც რა?

**კაცი:** მიაშბეთ მცირეოდენი რამ თქვენს შესახებ... თქვენ ჩემზე თითქმის

ყველაფერი იცით, მე კი თქვენზე სრულებით არაფერი...

**ქალი:** ვშიშობ, გაგიცრუებთ იმედეებს... ჩემი პირადი ცხოვრება საკმაოდ

ერთფეროვანია. სამსახურის გარდა რამდენიმე მეგობარი მყავს და კიდეც

დედა, რომელსაც დროდადრო ვნახულობ. ის პატარა სოფელში ცხოვრობს

სახელად ვაშლიანი. სასაცილო სახელია არა?

**კაცი:** საქმრო გყავთ?

**ქალი:** არა. მას, ვისაც მოვწონვარ, მე არ მაინტერესებს, ხოლო ვინც მე

მაინტერესებს, მათ არ მოვწონვარ. მარტოხელა ქალების ტიპური შემთხვევაა.

მაგრამ მე უწინდებურად მჯერა მშვენიერი უფლისწულის. მე მინდა, რომ ის

იყოს ჭკვიანი, ჩემში უზომოდ შეყვარებული, მამაკაცური, ნაზი,

დამოუკიდებელი, თვალსაჩინო და იმავდროულად სადა, და რაც,

მთავარია, უცოლო!

**კაცი:** მაგრამ ამ იშვიათი განძის პოვნის მოლოდინში...

ქალი: მე მას ვერთვულე...თქვენ კი, მართლაც, საყვარელი ხართ!... იმედი მაქვს,  
ჩემზე ძალიან არ ბრაზობთ!...

კაცი: არ დაგრჩეთ თქვენი „სიგარეტი!“

*ქალი იღებს მაგიდიდან კოლოფს, აჩხაკუნებს ფოტოაპარატივით და გადის.  
კაცი მარტოდ დარჩენილი, ჯდება დივანზე, რთავს მაგნიტოფონს და  
მოწყენით იყურება ირგვლივ. ჟღერს ნაზი მელოდია. პაუზა. ისმის კარზე  
ზარის ხმა. მამაკაცი მოულოდნელობისგან შეკრთება. გამოაჯავრებს ფრაზას  
„მე ცოლიან მამაკაცებს არ ვხვდები! ... რა სისულელეა?!“ ლილინით დგება,  
ვისკის წრუპვა-წრუპვით მიდის სტელაჟთან და შემოატრიალებს ცოლის  
ფოტოს. კარზე კაკუნია. მამაკაცი გაოცდება. მუსიკას გათიშავს და მიდის  
კარისკენ. აღებს. კარში ქალი დგას.*

ქალი: გაგეცინებათ და, ბოლო ავტობუსზე დამაგვიანდა და ჯიბეში კაპიციც არ  
მაქვს... ჩანთა შევცვალე და საფულის გადატანა დამავიწყდა.

კაცი: რა სამწუხაროა!

ქალი - ( შემკრთალი) ხომ ვერ მასესხებდით მცირეოდენს?

კაცი: გასესხოთ? უყურე, არც კი სცხვენია, რომ ფული მესესხოს?!

ქალი: ვალს დაგიბრუნებთ.

კაცი: დამიბრუნებთ! რა სიფაქიზეა?! რა სისათუთე! და როგორ აპირებთ ვალის  
დაბრუნებას?

ქალი: სამსახურში მოგიტანთ...დიახ, სამსახურში, რომ ზედმეტ გაუგებრობებს  
თავი ავარიდოთ...

კაცი: რასაკვირველია! შეეცდებით ათას გაუგებრობას თავი აარიდოთ!

ქალი: მისმინეთ, მე მართლაც... როგორ აგიხსნათ... მე ცუდ მდგომარეობაში ვარ,  
უხეშად რომ ვთქვათ, კისრამდე ...ჩაფლული...

კაცი: ეს თვალსაჩინოა, აი, მე კი -არა!..(პაუზა. მამაკაცი საზეიმო ტონით) რა

სულელური სიტუაციაა. როგორ ვერ გაითვალისწინეთ...როგორ არ დაგეგმეთ

სათითაო წვრილმანი... დაიჯერეთ, რომ ყველაზე ჭკვიანი, საზრიანი და

საუკეთესო ხართ და გამარჯვება იზეიმეთ! „ჟურნალისტი!“ ჟურნალი

„და ქალი!“ და ჰოი, საოცრება: ხომ ვერ მასესხებთ სულ რაღაც 15 ევროს...

გთხოვთ, გეთაყვა!“ რა უბადრუკობაა?!

ქალი: (დათრგუნული) ესე იგი, უარს მეუბნებით?

*მამაკაცი ჩაფიქრდება.*

ქალი: მხოლოდ ტაქსის ფული მჭირდება.

*კაცი, თვითკამყოფილი დივანში ჩაეფლოება და უღიმის ქალს. მშვიდად ეწევა გამარჯვებული იერით.*

ქალი: ფეხით სულ მცირე, საათნახევარი მაინც დამჭირდება... გარეთ ისეთი

სიცივეა, მე კი მსუბუქად მაცვია... მხოლოდ ტაქსისტვის... ასე ხომ ვერ

გამიშვებთ.

*ხელახალი პაუზა. მამაკაცი იღებს ჯიბიდან მონეტას და ჰერში აისვრის.*

ქალი: (მღელვარე ხმით) მე წავაგე?

*მამაკაცი არ რეაგირებს. ქალი მიტრიალდება და კარისაკენ მიდის.*

კაცი: შინ ჩემი მანქანით წაგიყვანთ...

ქალი: მართლა?!

კაცი: წარმოიდგინეთ, დიდად არ მეძინება.

ქალი: მაგრამ თქვენ ხომ ზედმეტად დალიეთ... საჭეს ასე უნდა მიუჯდეთ...

კაცი: ნუ ღელავთ, მშვენივრად ვარ!

ქალი: ....

კაცი: შეგიძლიათ, თქვენს ნარკვევში დაწეროთ, რომ „როდესაც მე მთელი

სიმართლე ვუამბე ბატონ „პ“-ს, ის სავსებით გალანტურად მოიქცა და

იმდენად სულგრძელი აღმოჩნდა, რომ საკუთარი ავტომობილით „BMW“-

თი შინ წაყვანა შემომთავაზა-თქო ...სხვათაშორის, იმ ავტომობილით,

რომელიც კრედიტით შეიძინა-თქო “...

ქალი: მაგრამ თქვენ რომ „BMW“ არ გყავთ ...

კაცი: არა, სინამდვილეში. მე სულ რაღაც „სიტროენი“ მყავს. მაგრამ თუ თქვენ

ცოტას იცრუებდით კვალის არევის მიზნით, ძალიან წამადგებოდა.

ქალი: ო’ კეი! რა პრობლემაა! დაე, იყოს „BMW!“

კაცი: და კიდევ ერთი პატარა დეტალი... მეც ასევე ცოტათი ვიცრუე.

ქალი: როდის?

კაცი: მე გითხარით, რომ ფირმის კომერციული დირექტორი ვარ, სინამდვილეში კი

მხოლოდ დირექტორის მოადგილე გახლავართ. ეს, რასაკვირველია, სულაც

არ არის ურიგო და მაინც პირველი ვიოლინო არ ვარ! მაგრამ აი, რაც

მახელებს, ეს ჩემი ბოსის ასაკია. ის ჩემზე ახლაგარდაა და

არადროს მომეცემა შანსი, დავიკავო დირექტორის პოსტი. და გარდა

ამისა...ჩვენი კომპანია მსოფლიო ბაზარზე არა მესამე ადგილს იკავებს, არამედ

მეხუთეს...თუ მეექვსეს...

ქალი: (უინტერესოდ) და მერე რა?

კაცი: არაფერი.მინდოდა, გცოდნოდათ.

ქალი: ალბათ, იფიქრეთ: „თუ მე საკუთარი მდგომარეობით შთაბეჭდილებას

მოვახდენ, უფრო იოლად შევათრევ საწოლშიო“, არა? ... მიგიხვდით.

**კაცი:** მერედა განა ასე არაა? განა ჩვენი სოციალური სტატუსი დიდი

წარმატებით არ სარგებლობს ქალებში? თუ მათ ეს ჰკიდიათ? უყურე, არ ვიცოდი. თქვენ თვალი ამიხილეთ. როდესაც მამაკაცი ხანში შედის, ერთადერთი, რითაც ქალზე შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია, ეს მისი მდგომარეობაა. უფრო სწორედ, საბანკო ანგარიშებია. რასაკვირველია, რამდენადმე ვულგარულად ჟღერს, გეთანხმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფაქტია. ასაკობრივი სხვაობა მატერიალური ფასეულობებით კომპენსირდება. სხვა დანარჩენი -ადამიანური თვისებები, გარეგნობა, ინტელიგენტურობა- მხოლოდ დანართებია...

**ქალი:** (გაოგნებული) დანართები?

**კაცი:** განა თქვენ ბევრ თქვენს თანატოლ ქალიშვილს იცნობთ, ვინც ხვდება 50 წელს გადაცილებულ მამაკაცს, რომლის ერთადერთი შემოსავალი უბადრუკი პენსიაა?

*ქალი მდუმარედ იჩეჩს მხრებს.*

**კაცი:** მე აქ არაფერ შუაში ვარ. თავად ცხოვრება გვკარნახობს საკუთარ კანონებს.

ამიტომაც მამაკაცები ასე ებღაუჭებიან საკუთარ მდგომარეობას, რომელიც მათი ერთადერთი ღირსებაა. ყველაფერი ქალების გამო ხდება. და მათ მოსაწონებლად კაცები ანგარებიანი თვითკმაყოფილი კრეტინები ხდებიან. ხშირად ნაძირლეზადაც კი იქცევიან!... და ამაში დამნაშავე თავად ქალები არიან. ეს ქალები პროვოცირებენ, თორემ თავად კაცებს სულაც არ მოსწონთ თავიანთი ხვედრი.

**ქალი:** სავარაუდოდ, თქვენ მართალს ამბობთ.

კაცი: ჰოდა, დაწერეთ ამის შესახებ თქვენს ჟურნალში... იოლია კაცების

განსჯა. ფრიად მხიარული გასართობია. ამ საკითხში თქვენ ყველანი ერთნი

ხართ. სხვა საქმეა ქალების ნაკლზე საუბარი. ამაზე რატომღაც არავინ წერს.

*ქალი იღიმება და თითქმის ალერსით უმზერს.*

ქალი: ნეტა, ერთი რით გატკინეს გული ქალებმა?

კაცი: ეს ისე, სიტყვის მასალად ვამბობ! ჩვეულებრივ, როცა ვსვამ, სისულელებს

არადროს ვამბობ...

*ქალი ლოყაზე ეფერება. წასვლას აპირებენ... უეცრად მამაკაცი წონასწორობას*

*კარგავს და წაბარბაცდება. ქალი ხელს შეაშველებს.*

კაცი: ოჰო, რაღაც მაბარბაცებს...

ქალი: რა გემართებათ?

კაცი: თავბრუ მესხმის...რამდენი ვისკი დავლიეთ მე და თქვენ...

ქალი: მგონი, მთელი ბოთლი... თქვენს მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომა

სარისკოა...

კაცი: (ისევ დივანზე ჯდება) სისულელეა! ახლა ოდნავ გონს მოვეგები და...

ქალი: მე ვფიქრობ, სჯობს, წამოწვეთ და წაუძინოთ...

კაცი: რას ბრძანებთ?!...მშვენიერ ფორმაში ვარ! (ამოიხრებს) წარმოიდგინეთ...

ქალი: (ალერსიანად) ჩუჩუჩუ...

*ქალი ეხმარება მამაკაცს დაწოლაში, კაცი ეფერება ხელებზე, მხრებზე, ქალი არ*

*უძალიანდება. და აგრძელებს მის გვედრით ჯდომას. ისმის მუსიკა.*

### მეორე მოქმედება

მეორე დღე.

მამაკაცი იმავე სამოსში, რაც წინა საღამოს ეცვა, მხოლოდ არ აცვია პიჯაკი. გამოდის ოთახიდან დაღლილი იერით. მიდის სტელაჟთან და მზრუნველად ასწორებს მეუღლის ფოტოსურათს. აბაზანიდან წითელ საშინაო ხალათში გამოდის ქალი. კაცი მოულოდნელობისაგან შეხტება. ქალი მისი რეაქციით გაოცებული ადგილზე ირინდება.

ქალი: უი, მაპატიეთ, თუ შეიძლება!

კაცი: (გაოცებული) მაგრამ...რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ქალი: კონკრეტულად რა?

კაცი: მოიცა...

ქალი: მე გელოდებით...

კაცი: მე მეგონა, რომ უკვე წახვედით...

ქალი: არა, ჯერაც აქ ვარ. ...არსად წავსულვარ. ისე შემეშინდა!...

კაცი: ეს მე ხომ არ შეგაშინეთ?

ქალი: დიახ...შენ ისე მოულოდნელად გამოჩნდი!...

კაცი: მაგრამ თქვენ...თქვენ რას აკეთებთ აქ?

ქალი: ყავა მოვადუღე...ასე ვთქვით, თავს ნება მივეცი...შენ ხომ სვამ ყავას?

კაცი: საკმაოდ ბევრს.

ქალი: არ ველოდი, რომ ასე მალე გაიღვიძებდი! თუ გავითვალისწინებთ, რომ მე და შენ ძალიან გვიან დავწექით, დარწმუნებული ვიყავი, რომ კიდევ დიდხანს გეძინებოდა! შენ უგონო მდგომარეობაში იყავი!

კაცი: მოიცა...დე

ქალი: რა?

კაცი: თქვენ...ახლახან დრო ახსენეთ...ანუ მე და შენ რომ გვიან დავწექით წუხელ...

ქალი: კი...რა მერე?

კაცი: მე და შენ ...თქვენ რა, თქვენც გეძინათ?

ქალი: რა თქმა უნდა, მეძინა! საბედნიეროდ! ...და რა არის ამაში საკვირველი?

კაცი: აქ?

ქალი: *(ჩეულბრივზე ჩვეულებრივი ინტონაციით)* დიახ...

კაცი: ჩემს სახლში?

ქალი: არა, ქუჩაში, პირდაპირ ტროტუარზე... რა თქმა უნდა, აქ, შენს სახლში...

კაცი: მაგრამ სად ჩემს სახლში?

ქალი: შენ რა - არაფერი გახსოვს? ძალიან თავაზიანი კია შენი მხრიდან... მართალია, ნასვამი იყავი, მაგრამ არც იმდენად, რომ *(ეძებს სიტყვებს)* იმედია, თავადაც მიმიხვდი!

კაცი: *(მშრალად)* მე აბსოლუტურად არაფერი მესმის!

ქალი: თავს იშტერებ?

კაცი: არავითარ შემთხვევაში!

ქალი: ჩემი გათამაშება გადაწყვიტე!..თუ მეხსიერების ამოვარდნები გაქვს? მაპატიე, მაგრამ წუხელ ერთობ აქტიური იყავი...

კაცი: მე...რა...ჩვენ...თქვენ გინდათ თქვით, რომ წუხელ ...ჩვენ..

ქალი: შესანიშნავია! *(უჩვენებს სამ თითს)* რამდენი თითია?

კაცი: ....??...

ქალი: რა მქვია? *(კაცი არ პასუხობს)* ...ჩემი სახელი?

კაცი: *(არც თუ თავდაჯერებულად)* ...ჯულიეტა!

ქალი: მადლობა ღმერთს! ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაგვიკარგავს! ახლა ჩვენ შევეცდებით გუშინდელის გახსენებას და დროს უკუღმა დავატრიალებთ ...მაშ ასე, წუხელ...გახსოვს, ბარში რომ იყავი?

კაცი: კი, მექსიკურში...

ქალი: სწორედ იქ გავიცანით ერთმანეთი...შენ სასმელი შემომთავაზე...მერე? რა იყო მერე?

კაცი: ჩვენ გამოვედით ბარიდან, ჩავსხედით მანქანაში და აქ მოვედით.

ქალი: ეს შენი წინადადება იყო, მეთანხმები?

კაცი: ...კი! მე ისიც მახსოვს, რომ *(მიანიშნებს იაპონურ სტატუეტზე)* თქვენ ხელში აიღეთ ეს სტატუა და თქვით : „ძალიან ფაქიზი ნივთიაო!“

ქალი: და შენ მშვენივრად გახსოვს ყველაფერი! ესე იგი, თავს იკატუნებ?

კაცი: კი, მაგრამ შემდეგ... შემდეგ რა მოხდა?

**ქალი:** შემდეგ შენ სვამდი და სვამდი! მეც არანაკლები დავლიე... და როცა შენ ჩემი გაცილება მოინდომე, ცუდად გახდი. ფეხზე ძლივს იდექი და მანქანის მართვა არ შეგეძლო... ხოლო შემდეგ...შემდეგ არც ისე ურიგო იყო... ახლა მთლად უმადლეს პილოტაჟს ვერ დავარქმევთ, მაგრამ სავსებით ასატანი გახლდა... ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ...

**კაცი:** რა?

**ქალი:** გინდა, რომ წვრილმანი დეტალები აგიღწერო?

**კაცი:** მაშინ რატომ დამამახსოვრდა, რომ თქვენ უარზე იყავით. თქვენ განაცხადეთ, რომ დარჩენას არ აპირებდით! უარს მეუბნებოდით!

**ქალი:** კი, ვუარობდი.

**კაცი:** მაშინ რატომ...

**ქალი:** ეს თავიდან იყო...

**კაცი:** თქვენ მითხარით...ჰმ...,,მე ჟურნალისტი ვარ! თქვენ საკმაოდ ხნიერი ხართ და ცოლიანი, მე კი ვემბ უცოლოს...ჰმ.. ალერსიანსა და ვაჟკაცურს...ჰმ.. ხედავთ ჩემს სიგარეტს...ეს სულაც არ არის სიგარეტი, არამედ ხმის ჩამწერია! არ გჯერათ? ახლავე მოისმენთ (*დიდინებს*) „ **strangers in the night ....** “ !შემდეგ თქვენ მოითხოვეთ 500 ევრო, ხოლო მცირე ხნის შემდეგ უკან მობრუნდით და 15 ევრო მთხოვეთ, რადგან გარეთ ყინავდა!

**ქალი:** არასწორია... თანამიმდევრობაა არასწორი!

**კაცი:** ესე იგი, ჩვენ ღამე ერთად გავატარეთ!

**ქალი:** სწორედ ამის ახსნას ვცდილობ!

**კაცი:** გამოდის, რომ მთელი საღამო მხოლოდ იმას ვჩალიჩობდი, როგორ ჩამეწვინე საწოლში და როცა ეს ყოველივე მოხდა, არაფერიც არ მახსოვს! რა იდიოტი ვარ!...სრული კრაზი!... უტვინო კრეტინი!

**ქალი:** და რა საჭიროა ასეთი სიტყვები?

**კაცი:** შენ ხომ უარი მითხარი! შენ მთელი საღამო უარს მეუბნებოდი! და როცა გადავთვერი, მაშინ დამეთანხმე! შენ რა გადამთვრალი მამაკაცები მოგწონს?

ქალი: (თავის მართლებით) ...შენ მე გული ამიჩუყე!....

კაცი: ნეტა, ახლა რას დაწერ იმ შენს ჟურნალში?.. რომ ღამე გეძინა მამაკაცთან,  
რომლისგანაც აიღე ინტერვიუ?

ქალი: მაგრამ მე ვალდებული დავწერო სიმართლე.

კაცი: შენ დაარღვიე პროფესიული ეთიკა! შენ შეიძლება სამსახურიდან  
გაგაგდონ!...ჩემს გამო სამსახურს დაკარგავ!

ქალი: სასიამოვნოა, რომ ჩემს გამო დელავ... მართალი გითხრა, არ ღირს.  
ყველაფერი კარგად იქნება!

კაცი: მე მაინც ვნერვიულობ!

ქალი: არავითარი სტატია არ იქნება!

კაცი: (გაკვირვებულია) არ იქნება? ...და რით დავიმსახურე ასეთი წყალობა?

ქალი: არ მიყვარს პირადის და სამსახურებრივის ერთმანეთში არევა!...ყველაფერს  
თავისი დრო და ადგილი აქვს! ...კმაყოფილი ხარ?

კაცი: მეტი რომ არ შეიძლება!...და...

ქალი: რა?

კაცი: არ ვიცი, როგორ გკითხო...

ქალი: მიდი, თამამად...

კაცი: და როგორ მოხდა ყოველივე?

ქალი: მაინც რა?

კაცი: აი, ის...ჩვენ ორს შორის...

ქალი: გაინტერესებს ჩემი შთაბეჭდილებანი?

კაცი: ჰო...დიახ...როგორ იგრძენი თავი ჩემთან...ძალიან ცუდად?

ქალი: (გაგებით) ...როგორც ამბობენ, „შეიძლება უკეთესადაც ყოფილიყო!“...მაგრამ  
ყველაფერი წინ გვაქვს! თანაც შენ ისეთი მოსაუბრე გამოდექი!... პირი არ  
დაგიხურავს, რასაც აკეთებდი, ყველა საქციელს კომენტარს ურთავდი...  
როგორც საფეხბურთო მატჩის სპორტული კომენტატორი...

კაცი: და ბევრი გოლი შევაგდე?

ქალი: ერთადერთი, ისიც პენალტით.

კაცი: ვერაფერს ვიტყვი...აშკარად მაგრად ვყოფილვარ...

ქალი: და განა ესაა მთავარი? მამაკაცები ვერაფრით იგებენ, რომ ქალის ყველაზე მგრძნობიარე ადგილი -გულია!. *(მკერდზე უთითებს)* ყველაფერი აქედან იწყება!

კაცი: (ცივად) დიახ, მადლობა! ვიცნობ ამ თეორიას.

ქალი: და არ გჯერა?

კაცი: მჯერა-არ მჯერა! სულაც არ მსურს ამის გარჩევა. და სამყაროს გადაკეთების დიდი სურვილიც არ მაქვს.

*ქალი გადის სამზარეულოში.*

ქალი: (სამზარეულოდან) ცუდ ხასიათზე ხარ?

კაცი: ნაზახუსევი ვარ...ეს ორი სხვადასხვა მდგომარეობაა...

ქალი: (სამზარეულოდან) შენ ნამდვილად არ ხარ ტოროლა.

კაცი: ყოველთვის არა, გააჩნია ღამე როგორ გავატრე...

ქალი: ( სამზარეულოდან) მე ვხვდები, რაზე ფიქრობ...

კაცი: რაზე? მიდი გადმომილაგე, რაკი ასეთი მიხვედრილი ბრძანდები...

ქალი: ( სამზარეულოდან ) ცოლზე.

კაცი: ჩემს ცოლზე? არ მესმის, რა საერთო აქვს ჩემს ცოლს ამ ამბავთან...

ქალი(ბრუნდება) : მართლა? *(მაგიდაზე დგამს ლანგარს ყავის ორი დიდი ჭიქით)*  
განა შენ არ ატკინე გული... შენს ცოლს?

კაცი: გული ვატკინე? არაფერიც ... ის 400 კილომეტრზეა და აქედან და ვერაფერსაც დავუშავებდი...

ქალი: შენ სიყვარულით არ უნდა დაქორწინებულიყავი!

კაცი: რას გულისხმობ?

ქალი: არ ვიცი, როგორ აგიხსნა... მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც

სიყვარულით ქორწინდებიან...ყველა არა, მაგრამ ასეთებიც არსებობენ...

**კაცი:** მისმენე, ჩემო ძვირფასო! მე მიყვარს ჩემი ცოლი! ვხედავ, შენ ეს

გაოცებს და წარმოუდგენლად მიგაჩნია... გინდ დაიჯერე და გინდ არა, მე მიყვარს ჩემი მეუღლე და ცხოვრებას რომ თავიდან ვიწყებდე, წამით არ დავფიქრებოდი...წამით!

**ქალი:** და კვლავ მას მოიყვანდი ცოლად?

**კაცი:** დიახ.

**ქალი:** და კვლავ მოატყუებდი!

*კაცი გაღიზიანებული უცქერს.*

**ქალი:** მაპატიე... თავს უფლება მივეცი, ეს ხალათი ჩამეცვა. ბრაზობ?

**კაცი:** ჩვენი ღამის ინტიმის შემდეგ ყველაფერი ნებადართულია!

**ქალი:** როცა ის მაცვია, ცოტათი შენს ცოლად ვგრძნობ თავს...

**კაცი:** როგორც კი დაგინახე, ვიგრძენი. მომეჩვენა, რომ ჩემს წინ ის იდგა და ამიტომ შევხტი.

*ქალი ყავას მოსვამს.*

**ქალი:** როგორ გაიცანით ერთმანეთი?

**კაცი :** რა?

**ქალი:** როგორ გაიცანი შენი ცოლი?

**კაცი:** ძველებურად შენსას უბერავ...

**ქალი:** უბრალოდ, მინდა ვიცოდე, როგორ ეცნობიან ადამიანები ერთმანეთს... ეს მოულოდნელად, სადმე რომანტიკულ სიტუაციაში ხდება, თუ ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი...როცა სიყვარული და ბედისწერა შეთქმულებას აწყობენ , ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ..

*კაცი ირონიულად უმზერს ქალს.*

**ქალი:** მიდი, მომიყევი როგორ შეხვდით... მოიცა...შევეცდები 20 წლით

ახალგაზრდა წარმოგიდგინო( *ხუჭავს თვალებს*) მშვენიერია!(*ახელს*)

ყველაფერი რიგზეა! გისმენ...

კაცი: „როგორ შევხვდით...“...აა..ეე..(*ამოდ ცდილობს გაიხსენოს*) ...ეე..აა..უჰ!

(*აშკარად არ მოსწონს კითხვა*)

ქალი: მომიყევი...

კაცი: შვებულებისას...მეც შვებულება მქონდა და მასაც...

ქალი: სად იყავით?

კაცი: რომელიღაც მცხუნვარე მზის ქვეყანაში...მგონი, მაროკოში...არა,

ეგვიპტეში...აა...ეე..კი, ეგვიპტეში.

ქალი: რა სილამაზეა! სფინქსი, პირამიდები...

კაცი: სასტუმრო „ჰილტონის“ ბარი...

ქალი: შესანიშნავია...ის მარტო იყო, შენც...

კაცი: არა, ჩვენ ერთსა და იმავე ტურისტულ ჯგუფში ვიყავით. 80 ადამიანი -

ნამდვილი სოდომი და გომორი! ის მოწყენილობისგან კვდებოდა და მეც,

ორივე ბარში ვყურყუტებდით...

ქალი: და?

კაცი: ესაა და ეს.

ქალი: რას ჰქვია: „ესაა და ეს!“ და ვინ გადადგა პიველი ნაბიჯი?

კაცი: უჰ!(*ვერ იხსენებს*)

ქალი: (*გაწბილებული*) შენგან რომანტიკოსი არ დადგება! გაოცებას ვარ, ვინ

გადაწყვიტა პირველმა დაქორწინება? მან თუ შენ?

კაცი: მორჩი! საკმარისია!

ქალი: მისმინე...რაც გუშინ გაიმზე ჩემზე ...მთლად ისე არ არის...

კაცი: „მთლად ისე“ რას ნიშნავს?

ქალი: სინამდვილეში...ვშიშობ, რომ ვერ გამიგებ.

კაცი: მეც ვშიშობ...

ქალი: მე შენთან მოვედი...ერთი...ასე ვთქვით, ერთი პატარა დავალებით.

კაცი: საინტერესოა...არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ საინტერესოა.

ქალი: მე დამავალეს შენი ცდუნება!...უფრო სწორად, დამავალეს, მეცადა შენი შეცდენა... შენი ერთგულების შესამოწმებლად... რამდენად შეგწევს გარემოებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი...

კაცი: „ერთგულების შემოწმება! „წინააღმდეგობის გაწევის უნარი“, ვერაფერი გამიგია...შენ რა, მეთამაშები?

ქალი: არა, ეს სიმართლეა.

კაცი- (სასტიკად) მე მიყვარს ამოუცნობი ქალები, მაგრამ ზომიერების ფარგლებში...თუ რამე გაქვს სათქმელი, დროულად მითხარი, თორემ ცუდი მეხსიერება მაქვს.

ქალი: მე შემთხვევით არ მიხსენებია შენი ცოლი.

კაცი: ის რაღა შუაშია?

ქალი: საქმე იმაშია, რომ მე ცოტათი ვიცნობ შენს ცოლს...სულ ცოტათი, მაგრამ მაინც...

კაცი: და მერე რა?

ქალი- (მაჯის საათს უჩვენებს) ეს მან მიყიდა ...მოგწონს? დიდიხანია ვოცნებობდი ასეთზე და მივიღე კიდევ...ძალიან სასიამოვნო ჟესტია მისი მხრიდან, არა? სამაგიეროდ, მან პატარა სამსახურის გაწევა მთხოვა...

კაცი: რა სამსახურის?

ქალი: რომ გამეცანი მის არყოფნაში.

კაცი- (უნდობლად) ჩემმა ცოლმა?

**ქალი:** კვირაში ორჯერ შენი ცოლი სილამაზის სალონ „მარიანაში“ დაბრძანდება...  
 სადაც მე ვმუშაობ... შენ იცი ეს სალონი, ზოგჯერ აკითხავ ხოლმე მანქანით...  
 მე მას მანიკურს ვუკეთებ ...ჩვენ ათას რამეზე ვსაუბრობთ... ხან მე ვუყვები  
 ჩემსას, ხან ის თავისას... მე მას ლამაზად მივაჩნივარ... ერთხელ მკითხა,  
 რამდენად მაკმაყოფილებს ჩემი შემოსავალი... მე ვუპასუხე, რომ „ ასე თუ  
 ისე მაკმაყოფილებს, თუმცა უფრო მეტი არ მაწყენდა“...და მაშინ მან  
 გადაწყვიტა, ჩემთვის საჩუქარი გაეკეთებინა. ერთხელ ვუთხარი, რომ  
 ძალიან მომწონდა ერთი საათი, რომლის საყიდლად არადროს მექნებოდა  
 საკმარისი ფული...და მან გადაწყვიტა რომ ეჩუქებინა...

**კაცი:** მან გიყიდა საათი, რომ სანაცვლოდ მე შემხვედროდი?

**ქალი:** უფრო ზუსტად, შენს გამოსაცდელად, რამდენად გაუძლებდი ცდუნებას...

**კაცი:** და შენ ხარ ეს ცდუნება...

**ქალი:** უფრო მეტიც. მან სრულიად შეგნებულად დარეკა წუხელ...გრამი საქმე არ  
 ჰქონდა. ის, უბრალოდ, დარწმუნდა, რომ მე აქ, შენთან ერთად ვიყავი.  
 ვფიქრობ, შენი ხმის ტემბრზე ყველაფერს მიხვდა. შენ დალილობას  
 იმიზეზებდი, მაგრამ ეს ისე არადამაჯერებლად გამოგდიოდა, რომ აშკარაა,  
 არ დაგიჯერა...

*კაცი ამოწრუპავს დარჩენილ ყავას და ვისკის ისხამს.*

**ქალი:** შენ...შენ ჯავრობ?

**კაცი:** რას ამბობ! უზომოდ მოხარული ვარ!...ერთი მეორეზე უკეთესი სიახლეებია!  
 განაგრძე!...

**ქალი:** მან დაჟინებით მთხოვა, რომ დამადასტურებელი საბუთები წარმედგინა...მე  
 შევეცადე, გადამეფიქრებინებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მგონი, შენს  
 ერთგულებაში ეჭვი შეეპარა. როცა მოისმენს ჩანაწერს, მისი ეჭვები  
 გამართლდება. ერთადერთი, რაც არ უნდა, ჩამედინა, ის არის, რომ საწოლში

არ უნდა ჩაგწოლოდი. ის ხომ მაზოხისტი არაა და მკაცრად გამაფრთხილა, რომ სისულელეები არ დამეშვა და თან დასძინა: „ის( ანუ შენ!) სულ ერთია მაინც არ მოგეწონებაო!“

კაცი- ასე გითხრა!

*ქალი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.*

კაცი- და რატომ დაარღვიე პირობა?

ქალი- უკვე გითხარი, რომ შენ მე ამაღელვე.

კაცი- მაშინ ეს შენ...შენ და მხოლოდ შენ ხარ ყველაფერში დამანაშავე!

ქალი - ...??

კაცი- გუშინ მე, აბსოლუტურად მშვიდად, ჩემთვის მოვედი ბარ „მექსიკელში“...მინდოდა, დამეღია კათხა ლუდი, მომეწია ორიოდე ღერი სიგარეტი და წავსულიყავი შინ დასაძინებლად. სრულიად წმინდა განზრახვებია...ასეა?

ქალი- ასეა.

კაცი- და ვინ გამიღიმა?

ქალი- ...მე.

კაცი- მშვენიერია! ეს რომ არ გაგეკეთებინა, მე ხომ არ გამოგელაპარაკებოდი?

ქალი- არა.

კაცი- ესეც ასე! *(ჩაფიქრდება)* და საიდან იცოდი, რომ მე ბარ „მექსიკელში“ შემოვივლიდი?

ქალი- მე არ ვიცოდი. შენმა ცოლმა დამარიგა, რომ სამუშაო დღის დასასრულისკენ შენი კანტორის პირდაპირ მდებარე ბარში გავმაგრებულებიყავი სათვალთვალოდ. ბარი „მექსიკელი“ ათი წუთის სავალზეა. მეც აგიძეხი,

ბარში შემოგყევი, დავუკვეთე სასმელი და გაგილიმე (*ყავას მოსვამს*) მე არ მსურს სხვის საქმეში ჩარევა, მაგრამ, რატომღაც, ჩემს გონებაში ერთი აზრი ჩამეჭედა: ეგებ ქალბატონს საყვარელი ჰყავს და განქორწინება გადაწყვიტა. ამისთვის კი ქმარზე კომპრომატების მოგროვება დასჭირდა, რომ იქით დაბრალდეს ღალატი...

კაცი- ჩემს ცოლს საყვარელი? ეს მას არ ჰყავს...საიდან მოიტანე? მან რამე ხომ არ გიამბო?

ქალი- არა.

კაცი- გიამბო თუ არა?

ქალი- არა.

კაცი- (დაბეჯითებით) არაფერი უთქვამს.

ქალი - არა!

კაცი- მაშინ პანიკის გარეშე! ...ჩვენ გვაქვს გარკვეული დრო და ვიპოვით გამოსავალს!

ქალი- ...??...

კაცი- მთავარია, შესაბამისი იდეა ვიპოვოთ...

ქალი- ეს იოლი ამბავია: არ გამოვიდა, არ ჩაიწერა...არასწორად დავაჭირე თითი ხმისჩამწერ ღილაკს, წამეშალა...

კაცი- (*ყოყმანობს და ბოლოს თავს გაიქნევს უარყოფის ნიშნად*)  
არადამაჯერებელია.

ქალი- რატომ?

კაცი- იმიტომ, რომ რეალობა აკლია, სუსტი ვერსიაა, არაეფექტური...მას ეჭვი შეეპარება.

ქალი- როცა საჭიროა, ძალიანაც დამაჯერებელი გახლავარ. მეც ისე აღვუწერ,თუ როგორ უარობდი, რომ დამიჯერებს.

კაცი- არადა არა! არ ვარგა!

ქალი- (მიდის საძინებლისკენ) კარგი, გეთანხმები- არ ვარგა!

კაცი- საით?

ქალი- წავალ გამოვიცვლი, სანამ შენ გენიალურ იდეას დაეძებ...ჩემი იდეები მაინც არ მოწონს ...(გადის)

კაცი- (ფიქრობს და თავის თავს ესაუბრება) ახალი ჩანაწერი მჭირდება!

ქალი- რა თქვი?

კაცი -(ხმამალლა) ახალი ჩანაწერია საჭირო!

ქალი- (ბრუნდება, თან გზადაგზა იცვამს) ეგ როგორ?

კაცი- ჩვენ წავშლით ძველ ჩანაწერს და, როგორც თეატრში, ახალ სცენას გავითამაშებთ...შენ გამიღიმებ და შებმას დამიპირებ...მე კი...არა! ...ქვა და კლდე ვიქნები!

ქალი- ამას ეწოდება ფალსიფიკაცია...ფეიკი...ეს არცთუ იოლია. საჭიროა ბუნებრივად ჟღერდეს!

კაცი- ყველაფერი ბუნებრივი იქნება...ისეთი ბუნებრივი, რომ...მე შემიძლია ისეთი ძნელადშესაბმელი მამაკაცის როლი ვითამაშო...

ქალი- (დაეჭვებით) შენ?

კაცი- ( წყენით) დიახაც, მე! ის გაიგონებს ჩემს ხმას...ჩემს ნამდვილ ხმას, ის აუცილებლად ამოიცნობს ჩემი საუბრის მანერას!

ქალი- როგორ არა...

კაცი- უბრალოდ...ტექსტი ოდნავ უნდა ჩავასწოროთ...

ქალი- ვცადოთ.

კაცი- ჩაწერამდე ჯერ უნდა გავივარჯიშოთ...აი, როგორც მსახიობები

იქცევიან...იმპროვიზაციულად ვცადოთ და როგორც კი საჭირო ფრაზებს

ვიპოვნით, ჩაწერა დავიწყით! წარმოიდგინე, რომ ეს ბარი „მექსიკელია“...მე

ვზივარ აქ...შენ შორიასხლო ჯდები...შევთანხმდით?

ქალი- დიას *(უახლოვდება და მიუჯდება)*...

კაცი - მიდი! დაიწყე!

ქალი- შენი ჯერია...

კაცი- მიდი...მიდი, დამიწყე შებმა!

ქალი- მინდა შეგახსენო, რომ გუშინ პირველი შენ გამომელაპარაკე!

კაცი- და რატომ გამოგელაპარაკე? იმიტომ რომ შენ გამიღიმე!

ქალი- მართალია, გაგიღიმე!

კაცი- აი!

ქალი- კარგი, წარმოიდგინე, რომ კვლავ გაგიღიმე!

კაცი - *(იწყებს ნერვიულობას)* მაგრამ მე ხომ ძნელადშესაბმელი კაცის ამპლუაში ვარ, დაგავიწყდა? სად შემიძლია ვიღაცის ღიმილს ვუპასუხო?

ქალი- ახ, სულ დამავიწყდა! მაპატიე!

კაცი- მე ვფიქრობ, შენ ვერ ხვდები, როგორ უნდა მოვიქცეთ.

ქალი- მივხვდი...მივხვდი!

კაცი- შენ საუბარს მიწყებ...მიდი, მითხარი რაიმე...მიდი!

ქალი- მოიცა...ჯანდაბა! ასე უცებ რა მოვიფიქრო?

კაცი- გუშინ კარგად ჭიკჭიკებდი მთელი ორი საათი?! ახლა აღარ შეგიძლია ერთი ფრაზა მითხრა, არა?

ქალი- ნუ მთრგუნავ...ნუთუ არ შეგიძლია, ორი წუთი მაცალო, აზრების მოკრება?

კაცი- ესეც ასე!...მე ისევ გადავდგავ სკამებს...ესე იგი, ჩვენ ვართ ბარ  
„მექსიკელში“ ...ბარმენი იქითაა, მაგიდები აქეთ დგას...ეს პიანინოა...მე აქ  
ვზივარ...შენ მიახლოვდები და გამომელაპარაკები! სულ მარტივია!

ქალი- კარგი, კარგი! რა თქმა უნდა, მარტივია, თუ არ ჩავთვლით რომ აქ არც ბარია,  
არც მაგიდები, არც პიანინო, და საერთოდ, დილის 10 საათია...

კაცი- კარგი...სანთებელა მთხოვე!...სიგარეტის მოწვევა გინდა და ასანთი არ გაქვს!

ქალი- (ენტუზიაზმის გარეშე) ძალიან პრიმიტიული ილეთია!...

კაცი- სულაც არა! პრიმიტიული კი არა, კლასიკური ილეთია! კლასიკა მუდამ  
ბუნებრივად ჟღერს. შენ მომმართავ: „სანთებელა ხომ არ გქვთ?“

ქალი- კარგი, თანახმა ვარ.

კაცი- ძალიან მომგებინა ხრიკია, სწორედაც რომ მაქვს სანთებელა!

ქალი- გენიალურია!

კაცი- მიდი...განაგრძე!

*ქალი- პარდონ! უკაცრავად... სანთებელა ხომ არ გქვთ?*

*კაცი- ინებეთ!*

*ქალი- (ვითომ უკიდებს) მადლობა.*

*კაცი- არაფრის.*

*(ქალი ვითომ ეწევა...დრო გადის...კაცი თითებს რიტმულად აკაკუნებს მაგიდაზე.  
ქალი წარმოსახვით სიგარეტს ეწევა)*

კაცი- (გაღზიანებით)...მე ვიცდი!

ქალი - ჩვენ რეალურ დროში ვმოქმედებთ...ჩვეულებრივ ცხოვრებაში ბევრი  
პაუზაა ხოლმე..

კაცი- გეთანხმებით, პაუზა ბევრია, მაგრამ ამასთანავე მოქმედება აუცილებელია.  
შენ გაქვს ამოცანა, შემაბა ...მიდი...გაინძერი!...

ქალი- მთლად რეჟისორივით ხარ!

კაცი- რეჟისორობა სულაც არ არის აუცილებელი, სულ ცოტა ტვინის დატანებაა  
საჭირო!

*ქალი შესტით უარყოფს მის ნათქვამს.*

კაცი- მიდი, მიდი! ნუ მოდუნდი!

*ქალი- თქვენ პირველად ხართ აქ?*

კაცი - არა.

*ქალი- ამ ბარის მენეჯერი ხართ?*

კაცი- არა.

*ქალი- მაშინ რაღაც შუალედური, არა?*

კაცი- კი.

*ქალი- საზოგადოებაში ყოფნა ხშირად გიწევთ?*

კაცი-: არა.

*ქალი - შემთხვევით მიზანტროპი ხომ არა ხართ?*

კაცი - დიახ.

ქალი- მაპატიე, მაგრამ ძალიან მშრალი დიალოგი გამოგვდის. „კი“ და „არა“-ს  
გარდა რამე სხვა სიტყვები არ იცი?

კაცი- მე ბარში იმიტომ არ შევიარე, რომ საკუთარ ცხოვრებაზე ვესაუბრო ვისმეს...

ქალი- არც არავინ გაგლიჯავს კალთებს, უბრალოდ, შეეცადე რომ წინადადებაში

იყოს ქვემდებარე და შემასმენელი...ან შემასმენელი და დამატება...

კაცი- ქვემდებარე...შემასმენელი...დამატება- გასაგებია. მიდი, ჩართე!

ქალი- აქაურობა მოგწონთ?

კაცი- არც თუ ურიგია...

ქალი- მე ძალიან მომწონს!

კაცი- გემოვნებაზე არ დავობენ.

ქალი- მარტო ხართ?

კაცი - ...არა.

ქალი- როგორ თუ არა? მარტო ხარ, მაგიდასთან მარტო ზიხარ.

კაცი- კი მაგრამ, ხომ უნდა მივანიშნო, რომ ცოლიანი ვარ!

ქალი- როგორ ?...

კაცი - არა, ცოლიანი ვარ.

ქალი- ცოლიანი ხარ, მაგრამ ეგ აქ რა შუაშია?

კაცი- ეს უმთავრესი საკითხია!

ქალი- გეთანხმები, უმთავრესი საკითხია, მაგრამ აჩქარება რა საჭიროა?! რა

საჭიროა, ეგრევე ამის თქმა? მესმის, რომ დამაბული ხარ, მაგრამ რეალისტიც

ხომ უნდა იყო? მე ხომ ჯერ არ მიკითხავს, ცოლიანი ხარ თუ არა? მარტო

ზიხარ და ასევე მიპასუხე: დიახ, მარტო ვარ!

კაცი - გეოგრაფიულად მარტო ვარ, მაგრამ პასპორტის მიხედვით - არა!

ქალი- შენ არავინ გეკითხება ოჯახურ მდგომარეობას, კითხვა მხოლოდ

გეოგრაფიულად დაისმის...

კაცი- მაშინ ეს სულელური კითხვაა...ისედაც ხედავ, რომ „გეოგრაფიულად“ მარტო

ვზივარ და კითხვის დასმა რაღა საჭიროა?

ქალი- მსახიობი რომ ყოფილიყავი, რეჟისორს გააგიჟებდი!

კაცი- კარგი, კარგი!...მიდი...განაგრძე!...მაგალითად, შეგიძლია მკითხო, ვინმეს ველოდები თუ არა...

ქალი- გუშინ შენ ზუსტად ეგ მკითხე...

კაცი- ჰოდა, ახლა შენ მოიმარჯვე ეს კითხვა...

ქალი- კარგი, ვცდი...

კაცი- მხოლოდ მეტად ბუნებრივად...

ქალი- და შენ თავად ბუნებრივი ხარ? სიმით ხარ დაჭიმული...მოდუნდი ცოტათი!

კაცი- მიდი!

*ქალი- ვინმეს ელოდებით?*

*კაცი- არა...ერთსაც დავლევ და შინ წავალ.*

*ქალი- შორს ცხოვრობთ?*

*კაცი- რატომ მეკითხებით?*

*ქალი- შეგვეძლო, მცირე დროით გვესაუბრა...*

*კაცი- მე არ მესმის, რა თემაზე შეგვეძლო გვესაუბრა...*

*ქალი- მე პარიზელი არ ვარ და არავის ვიცნობ აქ...ისე ეულად ვგრძნობ თავს...*

*კაცი-: ვწუხვარ, მაგრამ...*

*ქალი- მაგრამ რა?*

*კაცი- ვწუხვარ, მაგრამ ეს თქვენი პრობლემაა.*

ქალი- მაპატიე, მაგრამ ხომ არ გეჩვენება, რომ არც ისე თავაზიანი ხარ?

კაცი- ვითომ რატომ არ ვარ თავაზიანი?

ქალი- იმიტომ, რომ ზრდილობიანად მოგმართავენ და შენ კი უხეშად პასუხობ!

კაცი- რაც სულაც არ არის საშინელება, მე ერთგული ქმარი ვარ!

**ქალი-** რა შუაშია ერთგულება! საშინლად იქცევი! ზედმეტად საძაგლად...იმდენად, რომ ძნელი დასაჯერებელია!...აშკარად ზედმეტები მოგდის! შენი ცოლი ხომ კარგად გიცნობს. მან იცის, რომ ზოგჯერ უხეშობ, მაგრამ არა ამდენად...

**კაცი-** მე ვუხეშობ!

**ქალი-** (მკვახედ) მეტი რომ არ შეიძლება! დავიწყით თავიდან...

**კაცი-** შენ რაღაც მგონი ცოტ-ცოტას მკბენ თუ მეჩვენება?

**ქალი-** (გალიზიანებით) ჩვენ ან ვახორციელებთ შენს ჩანაფიქრს, ან უარს ვამბობთ მასზე. თორემ მერე მე მომიწევს ყველაფერზე პასუხისგება. ახლა ხომ ისე გამოდის, რომ მე მას ვაცუცურაკებ...

**კაცი-** კარგი, ოღონდაც ამ ინტონაციით ნუ მელაპარაკები...

**ქალი-** (ცივად) მომიკიდეთ თუ შეიძლება!

**კაცი** ვითომ სანთებელას იღებს და უკიდებს.

**ქალი-** (ცივად) მადლობა!

**კაცი-** არაფრის.

**ქალი-** თქვენ ვინმეს ელით?

**კაცი-** არა, არავის...მარტო ვარ.

**ქალი-** მეც...

**კაცი-** ოჰო...

**ქალი-** მე უკვე რამდენიმე წუთია თვალს გადავვინებ...

**კაცი-** არც იმდენად საინტერესო ვარ, რომ თვალი მაღევნოთ...

**ქალი-** მე მიმაჩნია, რომ ერთობ მიმზიდველი ხართ.

**კაცი-** საამო მოსასმენია, მაგრამ...

**ქალი-** მაგრამ რა?

**კაცი-** მე არ მინდა, იმედი გაგიცრუოთ... ცოლიანი ვარ!

**ქალი-** ოოოო...ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება! უბრალოდ, რაღაც აკვიატებაა და

სხვა არაფერი!

კაცი - რა?

ქალი- ვინ გეკითხება, ცოლიანი ხარ თუ არა?

კაცი- არავინ.

ქალი- მაშინ რატომ უსწრებ მოვლენებს?

კაცი- თავს ვიზღვევ...ყოველი შემთხვევისათვის.

ქალი- არა, შენ ენა წინ გისწრებს. ბარემ გულზე დაფა დაიმაგრე წარწერით: „არ

გამომელაპარაკოთ- ცოლიანი ვარ!“

კაცი- მაპატიე, მაგრამ ხომ ვგრძნობ, რომ ჩემს შებმას ცდილობ ...

ქალი- კი, გეთანხმები, ვცდილობ შეგაბა, ჰოდა, ამყევი...უფრო ახლოს

მიმიშვი...შენ კიდევ გექნება შანსი, უარი მითხრა. მამაკაცს მუდამ

სიამოვნებს, როცა ახალგაზრდა ქალიშვილი მის შებმას ცდილობს. შეიძლება

სულაც არ მოსწონდეს ქალი, მაგრამ რაც არ უნდა ერთგული ქმარი იყოს,

მისი პატივმოყვარეობა მაინც დაკმაყოფილებულია. შენ კი საღი აზრის

საწინააღმდეგოდ მოქმედებ.

კაცი- ო'ქეი! გეთანხმები და ბოდიშს გიხდი!

ქალი- ჩვენ ხომ სცენაზე სპექტაკლის ეპიზოდს არ ვთამაშობთ...ყველაფერი

რეალისტურად უნდა გამოიყურებოდეს... 10 წუთი მაინც უნდა

გაგრძელდეს ურთიერთობა...

კაცი- და ეს 10 წუთი რა უნდა ვაკეთო?

ქალი- გაიღიმე...

კაცი- რა?

ქალი- გამიღიმე... შეგიძლია გამიღიმო?

კაცი- მაპატიე, მაგრამ ღიმილს ხმისჩამწერი ვერ ასახავს...

ქალი- მაგრამ ეს იგრძნობა!

კაცი- კარგი, ქალბატონო რეჟისორო!

ქალი- (პაუზის შემდგომ) როგორც გითხარით, ჩამოსული ვარ და პარიზში არავის ვიცნობ.

კაცი- (ყურებამდე ღიმილით) თუ ჩემი დახმარება გესაჭიროებათ...

ქალი- ძალიან თავაზიანი ხართ.

კაცი- (განავრძობს გაღიმებას) ჩემი თავაზიანობა უსასრულოა!

ქალი- მართლა?

კაცი- მე მუდამ მახარებს ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალიშვილის სამსახური,,  
თქვენ მშვენიერი ხართ, მადმუაზელ!

ქალი- ეგებ პირდაპირ საწოლი და...

კაცი- უკაცრავად?

ქალი- შენ ვის თამაშობ?

კაცი- როგორც შევთანხმდით, სიმპათიას გამოვხატავ!...

ქალი- ეს სიმპატია არ არის! ...უფრო სექსუალური პათოლოგიაა!

კაცი- (გალიზიანებით) მე უკვე თავბრუ მესხმის. შენ ვერაფერს გაგიგებს კაცი: ხან ვუხეშობ , ხან ზედმეტად თავაზიანი ვარ...

ქალი- ეცადე ოქროს შუალედი მოძებნო (გამოაჯავრებს) „თქვენ მშვენიერი ხართ,  
მადმუაზელ!

კაცი- ყელში ამომიყვანე!

ქალი- მე? მე ამოგიყვანე ყელში?

კაცი- დიახაც!

ქალი- კარგი, შევწყვიტოთ... მაინც არაფერი გამოდის... მე ასე არ შემიძლია.

კაცი- რას ამბობ... წინ მთელი დღე გვაქვს, ასეთი უიმედობა როგორ შეიძლება  
(ცდილობს ყურადღება მოიკრიბოს) მოდი, განვაგრძოთ.

ქალი- (ამოიოხრავს) თქვენ რა გქვიათ?

კაცი- პიერი.

ქალი- მე ჯულიეტა ვარ.

კაცი- ლამაზი სახელია.

ქალი- პირველად ვარ პარიზში...

კაცი- თქვენ ჩამოსული ხართ...და რომელი ქალაქიდან?

ქალი- სოფლიდან...სოფელი „ვაშლიანი“ იცით?

კაცი - არა.

ქალი- ეს სახელწოდება არაფერს გეუბნებათ?

კაცი- თითქოს არაფერს...თუმცა, მოიცადეთ...რალაც ბუნდოვნად მახსენდება...

ქალი- პროფესიით ვინ ხართ?

კაცი- კომერციული დირექტორი გახლავართ...უფრო სწორედ, დირექტორის მოადგილე...მაგრამ ეს არ არის საინტერესო...

ქალი- თქვენ ცდებით... განათლება მიიღეთ?

კაცი- დიახ.

ქალი- პარიზში?

კაცი- არა, აქ ანგულემიდან ჩამოვედი.

ქალი- საინტერესოა...„ვაშლიანიც“ ხომ იქვეა, სულ რაღაც 15 კილომეტრში...

კაცი-(ჩაფიქრებული) მართლა?

ქალი- იქ დედაჩემი ცხოვრობს...

კაცი-„ვაშლიანში?“

ქალი- დიახ, დედა კარგად იცნობს ანგულემს.

კაცი- (შეშფოთებით) მართლა?

ქალი- მე დედისერთა ვარ...დედა კი მარტო ცხოვრობს...

კაცი- ხოლ?

ქალი- მეუბნებოდნენ, რომ მამა გარდამეცვალა და მეც მჯეროდა ამის... მაგრამ როცა წამოვიზარდე, დედამ სიმართლე მიაჩნო...

კაცი-: სიმართლე?...

ქალი- თურმე სულაც არ მომკვდარა... ცოცხალია და უვნებელი...

კაცი-...??...

ქალი- უკვე წელიწადი გავიდა, რაც დედამ სიმართლე მიაჩნო...

კაცი- მამათქვენზე?

ქალი- დიახ... დედა ძალიან იყო შეყვარებული მასზე. უგონოდ. მაგრამ ის სრულიად ჭაბუკი და დედაზე ერთი წლით უმცროსი იყო... მასაც უყვარდა, თუმცა ისე ძლიერად არა. მათი კავშირი ხანგრძლივი არ ყოფილა, თუმცა როგორც ყველა 20 წლის ახალგაზრდა, ერთმანეთს სამუდამო სიყვარულს ეფიცებოდნენ. ან იქნებ სულაც ურთიერთლტოლვა იყო და არა სიყვარული... არ ვიცი... მათ ერთად არ უცხოვრიათ... უფულობა... ბიჭი სტუდენტი იყო. მშობლები ეხმარებოდნენ და მისთვის უფრო იოლი იყო... დედა მდივან-მემანქანედ მუშაობდა... მაშინ ასე ეძახდნენ-მემანქანე - სტენოგრაფისტი... გოგო დაფეხმძიმდა და ასე გავჩნდი მე...

კაცი- ....

ქალი- როცა ბიჭი მიხვდა, რომ დედა ბავშვს ელოდა, იფიქრა, რომ ხაფანგში გააბეს. ის, რა თქმა უნდა, ბავშვების წინააღმდეგი სულაც არ იყო, მაგრამ ასე უცებ... სხვაშორის, მოგვიანებით შვილი მასაც შეეძინა. მაგრამ ძალიან, ძალიან მოგვიანებით... სულ სხვა ქალისგან (ქალი დაჟინებით უმზერს კაცს და განარძობს თბრობას) დედამ მითხრა, რომ ის ცდილობდა აბორტზე დათანხმებას... მან კი განუცხადა, რომ არაფერს ითხოვს მისგან ... რომ დამოუკიდებლად შეუძლია ბავშვის გაზრდა... ამაყი იყო... დაიწყო ჩხუბი,

უსიამოვნება და ისინი დაშორდნენ... ბიჭი...ბიჭი უბრალოდ გაქრა  
 ჰორიზონტიდან... არადროს დაინტერესებულა, რა მოხდა შემდგომ... განა  
 შეიძლება დაივიწყო, რომ სადღაც ბავშვი გყავს და იცხოვრო ისე, თითქოს  
 იგი არ არსებობდეს.

კაცი- ...

ქალი- მე არ მესმის, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ის, ვისაც საერთოდ არ  
 იცნობ...

კაცი- მაგრამ როდესაც დაშორდნენ, ეგებ ბიჭმა იფიქრა, რომ ქალი ბავშვს არ  
 დაიტოვებდა...ასეც ხომ ხდება?

ქალი- კი, ეს მას ყველაზე მეტად აწყობდა, თუმცა... არადროს უცდია, გარკვევა...  
 ამის მოძიება კი სულაც არ იყო ძნელი...

კაცი: ...

ქალი - როცა მე გავარკვიე მისი ვინაობა, გადავწყვიტე, შევხვედროდი... მაგრამ არა  
 ჩვეულებრივ...როგორც ხვდებიან ხოლმე...არამედ მინდოდა, რომ ძვირად  
 დასჯდომოდა ეს შეხვედრა... ყველაფრისათვის გადაეხადა  
 საზღაური...პროცენტებით! ...მთელი 25 წლიანი პერიოდის საპროცენტო  
 განაკვეთით! გავიგე მისი მისამართი, სამსახური...ჩემგან კარგი  
 გამომძიებელი დადგებოდა. მაგრამ არ ვჩქარობდი...ერთი პატარა წიგნაკი  
 შევიძინე და ყველაფერს, რასაც ვიგებდი მასზე, მის ცოლზე და შვილზე , იქ  
 ვიწერდი... არაერთხელ დავუდარაჯდი სკოლასთან და ერთხელაც  
 გამოველაპარაკე.

კაცი- მის ვაჟს?

ქალი- კი, მე მას ქუჩის სახელწოდება ვკითხე...მან გამიღიმა...ჩემი  
 ნახევარძმა...რამდენიმე თვეში მე მათ შესახებ უკვე ყველაფერი ვიცოდი,  
 თითქოს მთელი ეს წლები მათ გვერდით მეცხოვროს ...და როცა მივხვდი,  
 რომ საკმარისი ცოდნა მქონდა და უკვე მზად ვიყავი შეხვედრისათვის,

უბრალოდ შევხვდი და მივესალმე : „სალამო  
მშვიდობისა!“...ღიმილი...გრძელი ფეხები...ნათელი  
სახე...ტუჩები...თმები...მინდოდა, რამე სტკენოდა, ისე რომ მთელი  
ცხოვრება დამახსოვრებოდა...

კაცი იაზრებს მდგომარეობის მთელ საშინელებას და გაოგნებულია.

ქალი- იცით, რა ვქენი?

კაცი- დიახ...

ქალი- მე ის ვაცდუნე...არ მინდოდა მის წინაშე შვილად წარდგენა. მე ის როგორც  
ქალმა ვაცდუნე. იმიტომ, რომ მას უყვარს ქალები...ცოლიც უყვარს, მაგრამ  
მაინც... კაცი კაცია... კატა-თაგვობანას ვეთამაშებოდი...მინდოდა,  
ამელეღვებინა... კაცები ხომ იოლადა კარგავენ თავს. საჭირო მხოლოდ ჯერ  
„კი“ უთხრა, მერე „არა“, მერე ისევ „კი და მერე ისევ „არა!“ ყოველ ჯერზე  
ახალ როლს ვიგონებდი, ტყუილიც კი ვთქვი, რომ ვითომ მისმა ცოლმა  
დამიქირავა ერთგულების შესამოწმებლად . და მე ეს გამომივიდა! ... ყოველ  
ჯერზე ახალ ტყუილს ვაცხოვობდი...თავდაპირველად, არ სჯეროდა, მაგრამ მე  
იქვე პატარ-პატარა დეტალებს ვუფდებდი სარწმუნო საბუთად (პაუზა) და  
როგორც იქნა, იგი მოტყდა, ფარ-ხმალი დაყარა და დამნებდა . მან ბევრი  
დალია და დაემინა(ისევ პაუზა) მე ის საწოლზე დავაწვინე და ვუყურებდი,  
როგორ სძინავს. ძილში სახე უკრთოდა, ოხრავდა, კვნესოდა, ათასგვარ  
გრიმასას გამოსახავდა...და როცა გამოელვება, სრულიად სხვა  
გახდა...მომეჩვენა, რომ ის სრულებით არ არის ბედნიერი, უბრალოდ, არ  
უტყდება საკუთარ თავს ამაში...

კაცი - ...

ქალი - მაგრამ ახლა მე მინდა მას ვუთხრა, რომ ყველაფერს ვპატიობ. მისი ყველა  
ნაკლით, რომელიც, მერწმუნეთ, არცთუ ისე ცოტაა... მე...მე მიყვარს იგი...მე  
ისე მინდა ჩავეკრა გულში, როგორც პატარა გოგონა...

კაცი- (უახლოვდება ნაზად ეფერება თმაზე, თითქოს ჯერ კიდევ არ ჰქონდეს ამ სინაზის უფლება) მაგრამ მამათქვენი...თქვენ ფიქრობთ, რომ მთელი ეს წლები ის თქვენზე არ ფიქრობდა?

ქალი მხრებს იჩეჩავს.

კაცი- ან იქნებ ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს, რა მოხდებოდა, იქ სოფლად, იმ ქალიშვილთან რომ დარჩენილიყო ...

ქალი არ პასუხობს.

კაცი- ის დარწმუნებული იყო, რომ ბავშვი არ რსებობს და ამაში იყო მისი შეცდომა. ბავშვი რომ დაბადებულიყო, ქალს ხომ უნდა ეცნობებინა მისთვის... მაგრამ ქალმა ეს არ გააკეთა და ბიჭმაც გადაწყვიტა, რომ ბავშვი აღარ დაიტოვა. და რა ახლა- მას ჰყავს სხვა მამაკაცი და სხვა შვილები...ის ხომ ძალიან ლამაზი იყო... მაგრამ...დედათქვენი...მან იცის, რომ ...

ქალი- არა. იმიტომ რომ...მე ვფიქრობ, ისევ უყვარს ის ბიჭი. თქვენს შემდეგ დედას სხვა მამაკაცი არ ჰყოლია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ, მთხოვნელნი არ იყვნენ... დედა ხომ ახლაც ძალიან მომხიბვლელი ქალია.

კაცი- (უმზერს აღელვებული) როგორაა?

ქალი- ყველაფერი კარგაა...ყოველ შემთხვევაში...ის ძლიერი ქალია!

კაცი- შენ ფიქრობ, რომ მოისურვებდა ჩემს ნახვას?

ქალი- ...არა.

კაცი- და მე რომ მოვინდომო მისი ნახვა?!...რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ დავუბრუნდე...უბრალოდ, იმის სათქმელად, რომ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და თავად არ ვიცოდი, რა მსურდა...რომ ცხოვრების მეშინოდა.

ქალი- *(უარყოფის ნიშნად თავს აქნევს)* დაე, დარჩეს საკუთარ მოგონებებთან...ხშირად სწორედ ისინი აძლევენ ადამიანს სიცოცხლის გაგრძელების ძალას...

კაცი- *(რეკს ტელეფონი.კაცი უმზერს ...ისმის ცოლის ხმა: „ალო, ძვირფასო...მანდ ხარ? ეგებ გახვედი სახლიდან? (კაცი ყურმილს იღებსდა პასუხობს)*  
 დიახ!...(...) არა, ყველაფერი რიგზეა...უკვე გავიღვიძე...(...) გინდა მიამბო? მიდი, თუ გინდა, მაგრამ ხვალ აჯობებს(...)*გამოსვლის წინ დამირეკე, რომ ვიცოდე რომელ საათზე ჩამოვა მატარებელი...სადგურში დაგხვდებით(...)*  
 იცი...არა, ახლა არა...როცა ჩამოხვალ*(აღელვებით)* მე რაღაც სერიოზული მინდოდა მეთქვა...არა, უფრო მნიშვნელოვანი...ძალიან მნიშვნელოვანი...მეც გკოცნი და მიხარია, რომ ბრუნდები.

ქალი- ხვალ ბრუნდებიან?

კაცი- ცოტა თოვლი ყოფილა და მოიწყინეს.

ქალი- მოენატრე?

კაცი- ალბათ.

ქალი- შენ მოგენატრენ?

*კაცი ჩაფიქრებით უმზერს და პასუხს არ სცემს. ქალი წასვლას აპირებს.*

ქალი- მე დაგტოვებ.

კაცი- დამტოვებ? გაგიჟდი? ამ წუთიდან შენ აღარასოდეს დამტოვებ!..გესმის?!...  
 დღეს შენი დღეა! მთხოვე , რაც გინდა! რაც თავში პირველი მოგივა...ყველაფერს ვასრულებ!

*ქალი გაოცებულია.*

კაცი- უარს არაფერზე გეტყვი! მითხარი, რა გინდა !

ქალი- რა მინდა? მოიცა, მოვიფიქრო...ჰმ...*(ივინის)* აი, რა მინდა და...მე არადროს მომისინჯავს, გაგიკვირდება და ...

კაცი- რა?

ქალი- სისულელეა ...

კაცი- არ არსებობს!

ქალი- კი...კი..დამიჯერე...

კაცი- მიდი, მთხოვე ყველაფერი, რაც გსურს.

ქალი- ამერიკული მთები...

კაცი- *ამერიკული მთები? (კაცი მექანიკურად იმეორებს მის სიტყვებს, რომლებიც სრულიად ახალ ჟღერადობას იძენენ: ეს ბავშვური თხოვნაა! თითქოს ის ბავშვობას დაუბრუნდა და მის პატარა გოგონად გადაიქცა, რომელიც არადროს ჰყოლია)*

ქალი- *(ბავშვურად)* იცი, ეს რელსებზე შემდგარი მარხილია, რომელიც ხან ცაში არბის, ხან მიწაზე ეშვება და საოცარ ვირაჟებს აკეთებს და ყველა გაჰყვირის ალტაცებისა და შიშისაგან !

კაცი- კი, ვიცი.

ქალი- უარს არ მეტყვი?

კაცი- არა, რასაკვირველია.

ქალი- და კიდევ საბავშვო მატარებელი...თვითმფრინავებიანი ატრაქციონი.

კაცი- მოჩვენებების სახლი ...

ქალი- ჰო, მოჩვენებების სახლიც...

კაცი- სიცილის ოთახი...

ქალი- ვგიჟდები სიცილის ოთახზე...

კაცი- მერე ნაყინსაც გიყიდი!

ქალი - მარწყვის!

კაცი- მარწყვის იყოს!...

*ქალი- (ძალიან აღელვებულია და ძლივს ამოღერღავს) მამა...*

*კაცი -( შოკირებულია და ცრემლებს ძლივს იკავებს) როგორ დამიძახე?*

უახლოვდებიან ერთმანეთს

ქალი- ბედნიერი ხარ?

*კაცი ხელებს ხვევს და დიდხანს დგანან გადახვეულები...ნელ-ნელა ეშვება ფარდა...*

იანვარი 2005 წელი